

2 ბუნებაშვილი



792(092)

3.99



კოჭე  
მარჯანიშვილი

792(05)  
8/9  
8/3

8. გურიანების მინისტრი

# კოვენტური გარანტიერები

(გილერეაზია)



საქ. სსრ სახელმწიფო საორატო გურიული  
თბილისი—1947 წელი

„წელოვნების მიზანი სულ უბრალო  
რამ არის—მისცეს ადამიანს სიხარული,  
ჩაუნერგოს მას სიმხნევე.“

### კოტე მარჯანიშვილი

საბჭოთა თეატრის გამოჩენილი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის ეს სიტყვები მუდამ გაგონდება, როდესაც გაეცნობი დოკუმენტებს მისი სახცენო მოღვაწეობის შესახებ, როდესაც წარმოიდგენ მის მიერ შექმნილ ბრწყინვალე სპექტაკლებს და გაიხსენებ მის ცოცხალ, მგზნებარე სახეს.

მთელი თავისი შემოქმედებით კოტე მარჯანიშვილი ამ სიტყვების განსახიერება იყო. ბავშვობიდან სიკვდილის წუთებამდე მასში ჰარბალ ბუღობდა სიხარულისა და მხნეობის გრძნობა,— დაუშრეტელი და მჩქეფარე, და ეს ოპტიმისტური განწყობა წითელ ზოლადაა გავლებული მის მხატვრულ შემოქმედებაში. სიხარულსა და სიმხნევეს უეჭველად უნერგავდა მარჯანიშვილი მის გვერდით მომუშავე მსახიობებს, რეჟისორებს, მხატვრებს, სცენის მუშებს — ყველას მათ, ვინც მასთან

ერთად მონაწილეობას იღებდა სპექტაკლის  
შექმნაში.

არა ერთ ხელოვანს სჩვევია თავისი შე-  
მოქმედებითი მიზნებისა და გზების ვრცლად  
და ზოგჯერ მოსაწყენადაც კი დასაბუთება.  
ხშირად ამ სქელ ტრაქტატებში თავის ქება  
და საკუთარი პერსონისადმი ტროიალება  
სჭარბობს მოღვაწეობის ობიექტურად შე-  
თასებას. კოტე მარჯანიშვილს არას დროს არ  
მიუპყრია მსმენელისა და მკითხველის გუ-  
ლისყური თავისი შემოქმედების ვრცელი  
ანალიზით და მით უმეტეს თავის ქებით; პი-  
რიქით, მისი მემუარების წამკითხველი დარ-  
წმუნდება, რომ კოტე მარჯანიშვილი უმთავ-  
რესად თავის შეცდომებზე ლაპარაკობს, ერთ-  
გვარი ირონიული თვალთახედვითაც კი  
სჭვრეტს საკუთარ თავს და თვალში არ ეჩი-  
რება მკითხველს — შემომხედეთ რა ნიჭიერი  
და გამოჩენილი ოსტატი ვარო. მარჯანიშვილს  
არ შეუქმნია სქელი თეორიული შრომები  
თავისი მხატვრული მიმართულების დასასაბუ-  
თებლად, მაგრამ მისი ზემოთ მოყვანილი  
სხარტი განსაზღვრა ხელოვნების მიზანისა  
არა ერთ გამოკვლევას სჯობია და ზუსტად  
შეეფერება თვით მარჯანიშვილის პრაქტიკულ

შოლვაწეობას და, რაც მთავარია, ნათელი გა-  
მომსახუელია ჩვენი საბჭოთა ეპოქის შემომ-  
ქმედის მდიდარი ბუნებისა და ცხოველი ობ-  
ტიმიზმის.

კოტე მარჯანიშვილი ძველი სოციალური  
ფორმაციის წიაღში წარმოიშვა და გაიზარდა  
და ამიტომ მას აუცილებლად თან სდევდა ამ  
სოციალური წყობის მრავალი, ჩვენთვის მიუ-  
ლებელი თვისებები, მაგრამ სიხარულისა და  
სიმხნევის გრძნობებით მან დაჩრდილა ეს  
თვისებები და საპატიო აღგილი დაიჭირა  
ჩვენი ეპოქის თეატრის ასპარეზზე, როგორც  
მოწინავე საბჭოთა რეჟისორმა.

\* \* \*

კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე მარჯანიშ-  
ვილი დაიბადა კახეთში, სოფელ ყვარელში  
1872 წლის 28 მაისს. კოტეს მამა ალექსანდ-  
რე განათლებული ადამიანი იყო. სწავლა  
ჰეტერბურგში დაამთავრა. კარგად იცოდა  
ფრანგული ენა.

პატარა კოტე იზრდებოდა კულტურულ  
გარემოცვაში და აღრე გაეხსნა გონება და  
შეგნება.

მამა აღრე გარდაეცვალა, რის შემდეგ  
დედამისი ელისაბედი საცხოვრებლად თბილი-  
ში გადმოსახლდა. სწავლა კოტემ თბილისის

პირველ გიმნაზიაში მიიღო. ეს ის სასწავლებელი იყო, სადაც კოტეზე ოდრე სწავლა მიიღეს სათეატრო ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეებმა — ქართული თეატრის მსახიობება ვ. აბაშიძემ, მოსკოვის სამხატვრო თეატრის ერთ-ერთმა დამაარსებელმა და ხელმძღვანელმა ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკომ და მოსკოვის მცირე თეატრის მსახიობმა და ხელმძღვანელმა ა. სუმბათაშვილ-იუჟინმა. უფრო ადრე, 1850 წელს ამ სკოლაში აიხადა ფარდა გ. ერისთავის მიერ აღდგენილი ქართული რეალისტური თეატრის პირველი წარმოდგენისა.

თეატრალური ატმოსფერო მუდამ სუფევდა ამ სასწავლებელში და კოტე მარჯანიშვილიც აქვე დაინტერესდა თეატრით. 1886 წელს თოთხმეტი წლის კოტეს ჩვენ ვხედავთ, როგორც სასკოლო წარმოდგენის მონაწილეს. მან შეასრულა აგაფია ტიხონოვნას როლი ნ. გოგოლის კომედიაში „ცოლის შერთვა“.

ოჯახშიც თეატრალურ გარემოცვაში იყო კოტე მარჯანიშვილი. ელისაბედ ჭავჭავაძის სახლში ხშირად თავს იყრიდნენ იმ დროის ქართული საზოგადოების მოწინავე აღამიანები და ქართული თეატრის მოღვაწენი:

ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, სერგეი  
მესხი, კოტე მესხი და სხვანი. მათ გააძლიერ-  
ეს კოტე მარჯანიშვილში თეატრისადმი მის-  
წრაფება და დაუბადეს სურვილი მომავალ  
სამოღვაწეო ასპარეზად თეატრი აერჩია.

არდადეგებზე მარჯანიშვილი თავის სო-  
ფელ ყვარელში დაღიოდა და წარმოდგენებს  
მართავდა. ამ წარმოდგენებში ის რეჟისორიც  
იყო, აქტიორიც და დეკორატორიც. თავის მო-  
გონებათა ერთ-ერთ ჩანაწერში, რომელიც  
სათეატრო, მუზეუმშია დაცული, მარჯანიშვი-  
ლი აგვიწერს ამ წარმოდგენებს. მოქმედ  
პირებად მას გამოჰყავდა თავისი ძმა, დები,  
დეიდაშვილები. როდესაც მონაწილენი დაკ-  
ლდებოდა, ზოგჯერ ეკლესიის მედავითნესაც  
ავალებდა როლის შესრულებას. ერთ წარ-  
მოდგენაში ყვარელის ეკლესიის „ბლალოჩი-  
ნის“ ცოლსაც კი მიუღია მონაწილეობა თა-  
ვის ქალიშვილითურთ. წარმოდგენებს მარან-  
ში აწყობდა, რომელსაც მარჯანიშვილიანთ  
სახლის მთელი დაბლასართული ეკავა და...  
წარმოდგენის წინ შაყურებლებში წითელი  
ღვინით სავსე ხელადები ხელიდან ხელში  
გადადიოდა. „ხელადის რამდენჯერმე შემოვ-  
ლის შემდეგ ტაშს უფრო კარგად მიკრავ-

დენ“, — ვკითხულობთ კოტე მარჯანიშვილის  
მოგონებებში.

კოტეს ახალგაზრდული სცენიური გატა-  
ცება თელაველებს გაეგოთ. ამ დროს თელავ-  
ში ხშირად იმართებოდა სცენის მოყვარეთა  
წარმოდგენები. არღადეგებზე ყვარელში ჩა-  
მოსული გიმნაზიელი კოტე მარჯანიშვილი  
არაერთხელ მიუწვევიათ წარმოდგენებში  
მონაწილეობის მისაღებად. მარჯანიშვილი  
დიდი ხალისით თამაშობდა ამ წარმოდგენებ-  
ში. არ ეზარებოდა ყვარელიდან თელავში 36  
ვერსზე ყოველდღე ცხენით მოგზაურობა რე-  
პეტიციებზე დასასწრებლად.

1891 წლიდან კოტე მარჯანიშვილი უკვე  
ხშირად იღებდა მონაწილეობას სცენის მოყ-  
ვარეთა წარმოდგენებში და თანდათან იძენდა  
სასცენო გამოცდილებას. ბოლოს გადასწყვი-  
ტა პროფესიონალურ დასში დაეწყო მუშაო-  
ბა. პირველად პროფესიონალურ სცენაზე ის  
ქუთაისში გამოვიდა 1894 წლის შემოდგომას.  
მარჯანიშვილი მსახიობად მიიწვია ქუთაისის  
თეატრის მოთავემ კოტე მესხემა, რომელიც  
მარჯანიშვილებს ახლო ნათესავად მოხვდე-  
ბოდა.

იმავე წელს მარჯანიშვილს უკვე თბილის-  
ში ვხედავთ, რაღვან ქუთაისის თეატრში

ხანძარი გაჩნდა, იგი დაიწვა და დასმა შეუშაობა შესწყვიტა.

მარჯანიშვილი შევიდა თბილისის ქართული თეატრის დასში, რომელსაც განაგებდა „ქართული წარმოდგენების მმართველი ამხანაგობა“.

კოტე მარჯანიშვილის პირველი გამოსვლა თბილისის თეატრში მოხდა 1894 წლის 27 ნოემბერს. მან, შეასრულა პატარა კახის როლი აკაკი წერეთლის ცნობილ ღრამა-პოემაში „პატარა კახი“, ვ. გუნიას რეჟისორობით.

შარჯანიშვილის დებიუტი თბილისის თეატრში შეუმჩნეველი არ დარჩენილა საზოგადოებისათვის. გაზეთ „ივერიაში“ რეცენზენტმა მანოელიძემ დადებითად შეაფასა ახალგაზრდა მსახიობის თამაში.

„ბატონ მარჯანიშვილს, — სწერდა მანოელიძე, — ყველაფერი ხელს უწყობს როლის რიგიანად, შეასრულებისათვის: ხმა ძალიან კეთილხმოვანი აქვს, გარეგნობა შესაფერი და თავიც, რამდენადაც პირველად ნათამაშევს შეეფერება, კარგად უჭირავს სცენაზედ. თუ ამ ნაბოძებს გარეგან სიკეთეს თავისი ცდა და წადილი არ დააკლო, ეხლავე თამამად შეგვიძლიან ვუწინასწარმეტყველოთ, რომ ჩვენი

საცენის ფრიად გამოსაღევი არტისტი დადა  
გება".

პირველ როლს მალე სხვებიც მოჰყვა. 18  
დეკემბერს მარჯანიშვილი გამოვიდა დ. ერის-  
თავის მიერ გადმოკეთებულ ნევეჟინის დრა-  
მაში „მეორედ გაყმაწვილება“, 1895 წლის 4  
იანვარს გ. სუნდუკიანცის „ხათაბალაში“  
მოვსესიანცის როლი ითამაშა, 6 იანვარს დე-  
ნერისა და კორმონის მელოდრამა „ორ  
ლაბოლში“ პიერის როლი შეასრულა, 11 იან-  
ვარს ლადო მესხიშვილის საბენეფისოდ დად-  
გმულ ვ. აბაშიძის მიერ გადმოკეთებულ დრა-  
მაში „ვისი ბრალია“ კარლ ლეერის როლში  
გამოვიდა. სათეატრო სეზონის დამთავრებამ-  
დე კიდევ ითამაშა პიესებში: „რევიზორი“  
ნ. გოგოლისა, „უნდა გავიყარნეთ“ ვ. აბაში-  
ძისა, „სამშობლო“ დ. ერისთავისა, „მამულ-  
დედული“ გ. ზუდერმანისა, „და-ძმა“ ვ. გუ-  
ნიასი, „უდანაშაულოდ დასჭილნი“ ა. ოსტ-  
როვსკისა. ამ უკანასკნელში ნეზნამოვის  
როლს ასრულებდა.

სეზონის დამთავრების შემდეგ მარჯანი-  
შვილი თელავში გაემგზავრა და ითამაშა  
„პატარა კახში“.

შემდეგ სათეატრო სეზონში (1895/1896  
წლ.) მარჯანიშვილმა სცადა რუსულ პროფე-

სიონიალურ სცენაზე მუშაობა. ის ჩიტრიცხა  
რუსული თეატრის დასში ქ. ნიკოლაევში. სე-  
ზონის დამთავრების შემდეგ კი ისევ სამშობ-  
ლოში დაბრუნდა და 1896 წლის ზაფხულს  
ქუთაისში იღებდა მონაწილეობას წარმოდგე-  
ნებში ლადო მესხიშვილის ხელმძღვანელო-  
ბით.

1896/97 წლის სათეატრო სეზონში მარჯა-  
ნიშვილი კვლავ თბილისის ქართული თეატ-  
რის დასშია. სეზონის განმავლობაში ითამაშა  
პიესებში: „სამშობლო“ (ლევან ხიმშიაშვილის  
როლი), „რევიზორი“, „ხათაბალა“, „ორი  
ობოლი“, „მბეუტავნი ცეცხლნი“, „დაქცეუ-  
ლი ოჯახი“ და „ბოშა ქალი ზანდა“.

ზაფხულში მარჯანიშვილი ისევ ქუთაისში  
გამოვიდა სცენაზე რამდენიმე წარმოდგენაში,  
ხოლო 1897 წლის შემოდგომიდან კი დიდი  
ხნით დაემშვიდობა თავის კუთხეს და რუსულ  
სცენაზე გადავიდა სამოლვაწეოდ.

\* \* \*

ოცდა ხუთი წლის მანძილზე მარჯანიშვი-  
ლი რუსულ სცენას ემსახურებოდა. ეს მოლ-  
ვაწეობა მან დაიწყო პროვინციის აქტიორო-  
ბიდან.

ბევრი ადგილი ინაცვლა კოტე მარჯანიშვილმა აქტიორობისას თვალუწვდენელ რუსეთში.

1897/98 წლის სეზონში მარჯანიშვილი ელისავეტეგრადში მუშაობდა. გაზაფხულს საგასტროლოდ ორიოლში, კურსკში და ხარკოვში გაემგზავრა, ზაფხულს — ნეჟინში.

1898/99 წლის სეზონი — კერჩი, ზაფხულს — ბახმაუტი და ლუგანსკი.

1899/900 წლ. სეზონი — ბაქო, გაზაფხულს — ტაშკენტი და აშხაბადი, ზაფხულს — ოდინცოვო.

1900/901 წლ. სეზონი — ვიატკა.

1901/902 წლ. სეზონი — ტამბოვი. გაზაფხულს — სმოლენსკი, ზაფხულს — პენზა.

1902/903 წლ. სეზონი — უფა, ზაფხულს — მოსკოვი, ზოოლოგიური ბაღის თეატრი.

1903/904 წლ. სეზონი — ირკუტსკი, ზაფხულს — პერმი.

აქ მთავრდება პერიოდი მარჯანიშვილის აქტიორობისა და იწყება დამოუკიდებელი რეჟისორობა.

შვიდი წლის განმავლობაში მარჯანიშვილი რუსი პროვინციალური აქტიორის მძიმე ჭაპანს ეწეოდა. მართალია შემდგომში ის

ხშირად ირონიულად იხსენიებდა თავის აქ-  
ტიორობას, ალბად იმიტომ, რომ რეჟისორო-  
ბასთან შედარებით, ეს მისი მოღვაწეობა არც  
თუ ისეთი მნიშვნელოვანი იყო; თავის ერთ-  
ერთ ავტობიოგრაფიულ ჩანაწერში ის ამ-  
ბობს: „ბევრმა არც-კი იცის, რომ მე აქტიო-  
რად ვიყავი. რა ბეღნიერნი არიან! დიახაც, მე  
ვიყავი აქტიორად მთელი ათი წლის ვანმავ-  
ლობაში“... მაგრამ მარჯანიშვილი ურიგო  
მსახიობად არ ითვლებოდა. გამოდიოდა უმ-  
თავრესად „პირველი მოარშიყის“ როლებში.  
შრომისმოყვარე, თანდაყოლილი შინაგანი  
კულტურით, კარგი გარეგნობით, ის მუდამ  
ითვლებოდა დასში ერთ-ერთ მოწინავე მსა-  
ხიობად. ყოველ შემთხვევაში, ის უმუშევრად  
არცერთ სეზონში არ დარჩენილა და, პირ-  
იქით, არა თუ ზამთრის სეზონი, გაზაფხულსა  
და ზაფხულობითაც უზრუნველყოფილი იყო  
მუშაობით.

აქტიორად მუშაობამ კი დიდი სარგებ-  
ლობა მოუტანა მარჯანიშვილს. მან შეისწავ-  
ლა აქტიორული შემოქმედების არსი და ბუ-  
ნება, ტექნიკა და „საიდუმლოებანი“. თეატ-  
რიდან თეატრში გადასვლისას გაეცნო ასე-  
ულ მსახიობს, მათი შემოქმედების თვისე-  
ბებს და ნაკლს.

პრაქტიკული მუშაობის ამ მღიღარება გა-  
მოცდილებამ კარგი მარაგი შესძინა მარჯანა-  
შვილს, მომავალი რეუისორული მოღვაწეობი-  
სათვის.

და სწორედ ამ გამოცდილების გამო იყო  
შემდგომ, რომ მარჯანიშვილს დიდი უნარი აღ-  
მოაჩინდა მსახიობებთან მუშაობისა. ის აღვი-  
ლად ერკვეოდა მსახიობთა ავ-კარგიანობაში,  
იცოდა თუ ვის რა შემოქმედებითი დატვირ-  
თვის ატანა შეეძლო, ვის რა სცენიური სახის  
უფრო ეფექტიური ათვისების უნარი ჰქონდა.

შეიძლება სწორედ ამ მიღებული პრაქტი-  
კისა და შეთვისების დიდ უნარიანობის შე-  
დეგად აღეძრა სურვილი კოტე მარჯანიშ-  
ვილს ხელი მოეკიდნა იმ ხანად უჩვეულო  
საქმისათვის — მარტო რეუისორობისათვის.

იმ დროს მხოლოდ მოსკოვის სამხატვრო  
თეატრში იყო დამოუკიდებელი რეუისურა.  
თითქმის ყველა დანარჩენ თეატრებში რე-  
უისორობას კისრულობდა რომელიმე წამ-  
ყვანი მსახიობი. ასეთი რეუისორის მოვალეობა  
არც თუ ისე საპასუხისმგებლო იყო. რეუისო-  
რი უფრო ტექნიკური ფუნქციების ამსრუ-  
ლებელი იყო, ვიღრე სპექტაკლის მხატვრუ-  
ლი ორგანიზატორი.

საჭირო იყო დიდი ავტორიტეტი, შთა  
გონიერისა და გავლენის დიდი უნარი, რომ  
რეჟისორს გადაებიჭა ამ ძველი ტრადიციების  
ზღვარი. და თუ კოტე მარჯანიშვილმა გაბედა  
ამ ტრადიციების დარღვევა, ეს მის დიდ  
მხატვრულ უნარიანობას უნდა მიეწეროს.

პირველი რეჟისორული ცდა მარჯანი-  
შვილმა 1900/901 წლ. სეზონში მოახდინა ქ.  
ვიატკაში. დადგა ა. ჩეხოვის პიესა „ძია ვანო“.  
ცხადია, ეს მისი რეჟისორული ნამუშევარი  
ძალიან შორს იდგა მისი შემოქმედების შემ-  
დგომი ნიმუშებიდან, მაგრამ მაყურებელმა  
ამ სპექტაკლში მაინც შეამჩნია რეჟისორის  
„ხელი“. სპექტაკლი მოეწონათ. ამ ხნიდან  
მარჯანიშვილი თეატრებში მუშაობდა რო-  
გორც მსახიობი და რეჟისორი.

კოტე მარჯანიშვილის რეჟისორული ცდე-  
ბი დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც რუსეთის  
მუშათა კლასი ისკრულ-ბოლშევიკური ორგა-  
ნიზაციების მეთაურობით ძალებს რაზმავდა  
ცარიზმთან საბრძოლველად.

რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის რი-  
გებიდან მუშათა კლასს მრავალი აქტიური  
მებრძოლი ჰყავდა. და კოტე მარჯანიშვილიც  
მოწინავე რევოლუციურ ინტელიგენციის ამ

რიგებში იდგა თავისი პრაქტიკული სათეატრო მოღვაწეობით. ის გატაცებული იყო მაქსიმ გორკის პიესების დადგმით, იმ პიესების, რომლებშიც მკვეთრად იყო გამოსახული ახალი ცხოვრების მისწრაფებანი და აშკარა პროტესტი ძველ წყობილებისადმი.

1902 წელს მან ქ. უფაში დადგა მაქსიმ გორკის „მდაბიონი“ და ოვითონ ამ პიესის ერთ-ერთი მთავარი გმირის, ნილის როლი შეასრულა. 1903/904 წლ. სეზონში ირკუტ-სკში სხვა მრავალ პიესებთან ერთად დადგა იგივე „მდაბიონი“, მაქსიმ გორკისვე „ფსკერზე“ და „თომა გორდეევი“. ამ ნაწარმოებთა დადგმებით კოტე მარჯანიშვილმა საკმაოდ მოიხვეჭა მხატვრული უნარის მქონე რეჟისორის სახელი. ამ ხნიდანვე უკვე აშკარად გაირკვა კოტე მარჯანიშვილის მომავალი შემოქმედებითი გზა. ამიერიდან მან მხოლოდ რეჟისორობა ირჩია თავის პროფესიად.

„მაშ ასე — სწერს იგი თავის მემუარებში. — 1903/904 წელი ჩემი აქტიორობის უკანასკნელი წელიწადია. გამარჯვებამ რეჟისორობაში, თავმომწონეობამ ოცდაათი წლის ახალგაზრდისა, რომელიც სრული ბატონ-პატრონია თეატრისა, საბოლოოდ გადასწყვიტა ჩემი

სვე-ბედი. ამიერიდან მე მხოლოდ რეუისორი ვარ".

1904 წლის გაზაფხულს, ირკუტსკში სე-  
ზონის დამთავრების შემდეგ კოტე მარჯანი-  
შვილი მოსკოვში ჩამოვიდა, სადაც მისი ოჯა-  
ხი ცხოვრობდა. მან მიიღო მოწვევა რეუისო-  
რად ნეზლობინის თეატრში, რიგაში. ეს ნეზ-  
ლობინი (კ. ალიაბიევი) იმ ხანად შესამჩნევი  
ფიგურა იყო რუსულ თეატრში. დიდი ქონე-  
ბის პატრონი, თვითონ მსახიობი და რეუი-  
სორი, ის არას ზოგავდა, რომ მაღალმხატვ-  
რულ დონეზე დაეყენებინა თავისი თეატრი.  
დასში მას მიწვეული ჰყავდა საუკეთესო მსა-  
ხიობები, კარგად ესმოდა რეუისურის მნიშ-  
ვნელობა თეატრში და სწორედ ამ დროს თა-  
ვისი თეატრისათვის ნიჭიერ რეუისორს ეძებ-  
და. მისი არჩევანი კოტე მარჯანიშვილზე შე-  
ჩერდა. დიდი წარმატება იყო მარჯანიშვილი-  
სათვის ციმბირის პროვინციალური ქალაქის  
თეატრიდან რუსეთის ერთ-ერთ საუკეთესო  
თეატრში გადასვლა სამოღვაწეოდ.

ორი სეზონი დაჰყო მარჯანიშვილმა ნეზ-  
ლობინის თეატრში (რიგაში) რეუისორად და  
სახელი მოუხვეჭა ამ თეატრს მხატვრული  
მიღწევებით.

ამ დროიდანვე იწყება კოტე მარჯანიშვილის მეგობრობა დიდ რუს მწერალ მაქსიმ გორკისთან, რომლის სიახლოვებ მარჯანიშვილი დაუკავშირა მოწინავე რევოლუციურ ინტელიგენციის წრეებს. კოტე მარჯანიშვილი გატაცებით ჩაეგა რევოლუციურ ბრძოლაში. ნეზლობინის თეატრში მან მებრძოლი რაზმი ჩამოაყალიბა. დადიოდა გაღაცმული და გრიმირებული მიტინგიდან მიტინგზე და მგზნებარე სიტყვებს წარმოსთვამდა.

1905 წლის დასაწყისს მაქსიმ გორკი რიგაში ჩამოვიდა. აქ ის უანდარმერიამ დააპატიმრა, მარჯანიშვილი მყისვე დაუკავშირდა რიგის პოლიტექნიკუმში მოსწავლე ქართველ სტუდენტებს და შეაღგინა მებრძოლთა ჯგუფი მაქსიმ გორკის გამოსახსნელად პატიმრობიდან.

სხვათა შორის, სწორედ ამ დროს კოტე მარჯანიშვილი მიიწვიეს რეჟისორად საიმპერატორო სცენაზე, მაგრამ მან არ მოისურვა „სახაზინო“ სამსახური, როგორც ცარიზმის წინააღმდეგ განწყობილმა.

1905 წელს ნეზლობინის თეატრმა მოაწყო გასტროლი მოსკოვში მაქსიმ გორკის პიე-

სით „მოაგარაკენი“, რომელიც მარჯანიშვილის მიერ იყო დადგმული. დიდი გაბეჭვა იყო ნეზლობინისათვის, რომ მოსკოვის რჩეულ მაყურებლისათვის ეჩვენებინა თავისი თეატრი და თუ ეს ნაბიჯი გადადგა მხოლოდ იმ იმედით, რომ სრულიად დარწმუნებული იყო მარჯანიშვილის დადგმის მაღალ ღირსებაში.

გასტროლი არაჩვეულებრძვი წარმატებით ჩატარდა და კოტე მარჯანიშვილმა დიდი გამარჯვება მოიპოვა.

ამ გამარჯვებას მარჯანიშვილი ღირსესანიშნავ მომენტად სთვლიდა თავის ცხოვრებაში: „არიან აღამიანისათვის დიდებული დღეები — და ამ დღეს — კი ჩემთვის მოჰქონდა ის, რომ თითქოს მოსკოვმა მე მცნო,“ — სწერს მარჯანიშვილი თავის მემუარებში.

მართლაც, ამის შემდეგ მარჯანიშვილს უდავოდ დაუმკვიდრდა რუსული თეატრის საუკეთესო რეჟისორის სახელი.

შემდეგ სათეატრო სეზონში მარჯანიშვილმა განაგრძო მუშაობა ნეზლობინის თეატრში რიგაში, ხოლო სეზონის დამლევს კი დაეთხოვა ნეზლობინს მთელ რიგ უთანხმოებათა გამო. სარატოვში მოწყობილ საგას-

ტროლო წარმოდგენების შემდეგ კოტე მარჯანიშვილმა 1906 წლის შემოდგომიღან ხარკოვის დრამატიულ თეატრში დაიწყო მუშაობა.

1907/908 წლ. სეზონში კოტე მარჯანიშვილი კიევში მუშაობდა, ხოლო 1908/909 წელს—ოდესაში. ზაფხულობით მარჯანიშვილი თავისი დაღვმებით მოგზაურობდა სხვადასხვა ქალაქებში.

კოტე მარჯანიშვილი უკვე სახელმოხვეჭილი რეჟისორია და ღიღად ფასდება მისი რეჟისორული ნიჭი. მას იმ დროისათვის არაჩვეულებრივ ხელფასს აძლევენ, თვეში 2400 მანეთს.

1909 წელს ნეზლობინმა თავისი თეატრი რიგიღან მოსკოვში გადაიტანა და ისევ კოტე მარჯანიშვილი მიიწვია რეჟისორად. მან კარგად იცოდა, რომ მოსკოვში მისი თეატრის გამარჯვების გარანტია მხოლოდ მარჯანიშვილის მხატვრული უნარიანობა იყო. მარჯანიშვილი დასთანხმდა ნეზლობინს მუშაობაზე მის თეატრში, მაგრამ მტკიცე პირობები წაუყენა ერთგვარი დამოუკიდებლობისა მხატვრულ საკითხებში. დაითანხმა აგრეთვე, რომ დასი მოწვეული ყოფილიყო წლიურ ხელფასზე და არა მარტო სეზონზე, როგორც

საერთოდ იყო მიღებული კერძო თეატრებში. მიუხედავად ამისა მარჯანიშვილი მაინც ვერ შეეგუა ამ თეატრს. 1909 წლის დამლევ პირადი უთანხმოების ნიაღაგზე მან კვლავ თავი დაანება თეატრს და შუა სეზონში უმუშევრად დარჩა მოსკოვში. მაგრამ ვინ გააჩერებდა უსაქმოდ ასეთ გამოჩენილ შემოქმედს... სულ მოკლე ხანში ის ბულგარეთის მთავრობამ მიიწვია სატახტო ქალაქის — სოფიის თეატრის მთავარ რეჟისორად.

კ. მარჯანიშვილს უკვე მზად ჰქონდა უცხოეთის პასპორტი და ბარგი შეკრული, რომ ის მიიწვიეს რეჟისორად მოსკოვის სამხატვრო თეატრში.

მაშინ სამხატვრო თეატრში მუშაობაზე ოცნებობდა ყველა ცნობილი რეჟისორი, რაღაც ეს თეატრი მთელს მსოფლიოში იყო სახელგანთქმული თავისი მაღალმხატვრული ღირსებით.

საყურადღებოა, რომ მარჯანიშვილი თვითონ კი არ ცდილა მოხვედრილიყო სამხატვრო თეატრში, არამედ მისთვის სრულიად მოულოდნელად თეატრის ხელმძღვანელობამ მოიწადინა მისი მოწვევა და ამრიგად დიდად დააფასა მარჯანიშვილის რეჟისორული ნიჭი.

მარჯანიშვილის სიხარულს საზღვარი არ  
ჰქონდა. ბულგარეთის მთავრობასთან დაცვი-  
ბული ხელშეკრულება გაუქმებული იქნა და  
მარჯანიშვილი სამხატვრო თეატრში შეუდგა  
მუშაობას.

\* \* \*

სამი წელი დაჰყო კოტე მარჯანიშვილმა  
სამხატვრო თეატრში. მუშაობა ისეთ დიდ ოს-  
ტატებთან ერთად, როგორნიც იყვნენ კ. სტა-  
ნისლავსკი და ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო, მუ-  
შაობა ცნობილ ინგლისელ რეჟისორ გორდონ  
კრეგთან ერთად „ჰამლეტზე“ (ეს დადგმა სამ-  
ხატვრო თეატრმა დიდი ხნის მზადების შემ-  
დეგ მაინც ვერ განახორციელა, რადგან კრეგ-  
მა ვერ შესძლო მუშაობის /ზოლომდე მდყვანა/);  
საერთო მაღალმხატვრული ატმოსფერო სამ-  
ხატვრო თეატრისა—ყოველივე ეს საუკეთე-  
სო პრაქტიკული სკოლა იყო მარჯანიშვილი-  
სათვის. ამავე დროს ის დიდ ძალას წარმოად-  
გენდა თეატრისათვის. სამხატვრო თეატრის  
მოთავენი, კ. სტანისლავსკი და ვ. ნემიროვიჩ-  
დანჩენკო დიდი ყურადღებით ექცეოდნენ  
მარჯანიშვილს და, როგორც ეტუკობოდათ, ფიქ-

რობდნენ ის გაეხადნათ თავიანთი საქმის გამ-  
გრძელებლად.

სამი წლის განმავლობაში, გარდა „ჰამლეტ-  
ზე“ მუშაობისა, მარჯანიშვილმა სამხატვრო  
თეატრში სამი დაღგმა განახორციელა. ეს  
იყო „ძმები კარამაზოვები“ დოსტოევსკის  
რომანის მიხედვით, „ცხოვრების ბრჭყალებ-  
ში“ კ. ჰამსუნისა და „პერ გიუნტი“ გ. იბსე-  
ნისა.

კოტე მარჯანიშვილმა თავისი შემოქმედები-  
თი ნიჭის კვალი დასტოვა სამხატვრო თეატრ-  
ში. ამ მხრივ მეტად საინტერესო იყო დაღგ-  
მა დრამისა „ცხოვრების ბრჭყალებში“, რო-  
მელიც კოტე მარჯანიშვილმა ბევრად განას-  
ხვავა სამხატვრო თეატრის ჩვეულ ფორმები-  
დან.

პიესის დედააზრია ჩვენება ბურუუაზიუ-  
ლი ცხოვრების სიმახინჯისა, როდესაც ყვე-  
ლაფერი ფულით განიზომება. ფულია ყო-  
ველის შემძლებელი, ფულით შეასრულებ  
ყოველ სურვილს, მაგრამ ფულით ვერ იყიდი  
სულიერ წონასწორობას და ბედნიერებას.  
მთავარი გმირი — უკვე ხანში შესული ქალი,  
მწვავედ განიცდის ფულის ამ ძალას და სი-  
სუსტესაც და იტანჯება ამ „ცხოვრების ბრჭყა-

ლებში“. ამ ფსიქოლოგიური დრამის დადგმა  
მარჯანიშვილმა მოიფიქრა და განახორციელა  
არა სამხატვრო თეატრის მინორულ ტონებში,  
არამედ როგორც მაჟორი, როგორც დიდი  
ტემპერამენტის შემცველი სანახაობა. აქეთ  
იყო მიმართული კომპოზიტორი. საცის მუ-  
სიკალური ილუსტრაცია. ამ აწეულ ტონა-  
ლობას უწყობდა ხელს დეკორაციული გაფო-  
რმებაც — უჩვეულო ზომის საგნებით, გამს-  
ჭვირვალე ხელსაწყოებით. ამ მხრივ იყო მი-  
მართული სცენის განათებაც.

მარჯანიშვილი თავის მემუარებში სამხატ-  
ვრო თეატრისათვის ამ უჩვეულო დადგმის  
ხასიათს ხსნის თავისი ქართული ტემპერამენ-  
ტით:

„ჭეშმარიტად „ცხოვრების ბრჭყალებში“  
პირველი ჩემი ქართული წარმოდგენა იყო.  
დეე, მას თამაშობდნენ რუსულ ენაზე, რუსი  
მსახიობები, რუსულ თეატრში, მაინც იგი  
მთლად ქართული ქმნილება იყო“...

იბსენის ფილოსოფიური პოემის „პერ  
გიუნტის“ დადგმის შემდეგ, 1912 წელს მარ-  
ჯანიშვილმა დასტოვა სამხატვრო თეატრი.  
დასტოვა, რაღაც თავისი შემოქმედების ტემ-  
პერამენტიულობით და დაუდეგარი ბუნებით

ჭერ შეეგუა სამხატვრო თეატრის ხელ გარე-  
მოცვას. ამასთანავე მას ექსპერიმენტატორო-  
ბა სწალდა საკუთარი მიმღინარეობის თეატ-  
რის შესაქმნელად.

ამ ხანში, 1912 წლის გაზაფხულს,  
კოტე მარჯანიშვილი დროებით თავის სამშობ-  
ლო კუთხეს მოევლინა. თბილისში არსებულ  
რუსულ თეატრში ის მიიწვიეს სოფოკლეს  
ტრალედიის „ოიდიპოს მეფის“ დასაღმე-  
ლად. გამოცდილმა ოსტატმა ჟლტაცებაში  
მოიყვანა თბილისის მაყურებელი ამ დაღ-  
გმით. სპექტაკლი იზიდავდა მაყურებელს  
თავისი შესანიშნავი მხატვრული მთლიანო-  
ბით.

კოტე მარჯანიშვილს იმ ხანებში ქართულ  
თეატრზე ფიქრი აღონებდა. ის ოცნებობდა  
ჩამდგარიყო თავისი ძველი მეგობრების, ქარ-  
თველი მსახიობების რიგში და თავისი ცოდ-  
ნა-გამოცდილებით ხელი შეეწყო ქართული  
თეატრის განვითარებისათვის, მაგრამ ქარ-  
თული თეატრის იმდროინდელი ხელმოკლეო-  
ბა ბორკავდა მას.

ცოტა უფრო გვიან, 1914 წელს ქართუ-  
ლი თეატრის მსახიობი შაქრო საფაროვი  
სტუმრად ეწვია მარჯანიშვილს როსტოკში

შუშაობისას. სტატიაში, რომელიც საფაროვანი  
შა უურნალ „თეატრი და ცხოვრებაში“ იმავ  
წელს გამოაქვეყნა, ის აგვიწერდა, თუ რო-  
გორ იყო განწყობილი მარჯანიშვილი მშობ-  
ლიური ქართული თეატრისადმი. ბაასის  
ჭროს მარჯანიშვილი გაცნობია ჩვენი თეატ-  
რის იმდროინდელ მდგომარეობას. საფაროვს  
პირდაპირ უთქვამს: „თუ მაგრე გაინტერე-  
სებს ქართული თეატრის საქმე, რა გიშლის  
ჩამოხვიდე და ააყვავო ჩვენი ეროვნული თე-  
ატრიც ისე, როგორც რუსულიო“. ამოუ-  
ლხრია მარჯანიშვილს და უთქვამს, რომ არა-  
ფერი გამოვა მარტო მასი ჩამოსვლით: აი,  
50 ათასი მანეთი რომ მქონდეს, მაშინ კი  
ჩამოვიდოდი და დავიწყებდი საქმესო. მას გა-  
დაუშლია თავისი ნანატრი გეგმა, თუ რო-  
გორ დაიქირავებს მუდმივ ჯამაგირზე მსა-  
ხიობებს, გამართავს სტუდიას, დიდ ჯილდოს  
ძისცემს დრამატურგებს ახალი ორიგინა-  
ლური პიესების დაწერაში. მოიწვევს თეატ-  
რისათვის საუკეთესო მხატვრებს. მოამზა-  
დებს 10 ახალ დადგმას და ამ მარაგით შე-  
უდგება ქართული თეატრის განახლებას.

ასე ეტრფოდა შორიდან მარჯანიშვილი  
მშობლიური ქვეყნის კულტურას. ეს ტრფი-

ალი მან კონკრეტულ საქმედ აქცია 1922  
წელს, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების  
შემდეგ. ის დარწმუნდა, რომ ქართული  
თეატრის საქმე მარჯვე ხელშია, მშრომელთა  
საქმეა და მისი ხელისშეწყობისათვის მშრო-  
მელთა პარტია და ხელისუფლება არაფერს  
დაიშურებს.

1913 წელს მარჯანიშვილი შეუდგა მოს-  
კოვში საკუთარი თეატრის მოწყობას. მას  
სახელად „თავისუფალი თეატრი“ დაარქივა,  
როგორც ნიშანი თავისუფალი შემოქმედე-  
ბისა. თეატრის შესანახად მან იშოვა მდიდა-  
რი მეცენატი სუხოდოლსკი, რომელსაც ცო-  
ლად ჰყავდა მარჯანიშვილის ნათესავი, ყვარე-  
ლელი ლელია ჭავჭავაძე. არის ცნობები, რომ  
სუხოდოლსკის თავისუფალი თეატრი“ ერთი  
მილიონი ოქრო დაუჭდა. რამდენად უსაზღ-  
ვროდ დაჭერებული უნდა ყოფილიყო კა-  
პიტალისტი მარჯანიშვილის შემოქმედებითი  
უნარიანობაში, რომ ასეთი დიდი თანხა არ  
დაეშურებინა მოგების თვალსაზრისით მე-  
ტად საეჭვო საქმისათვის...

მარჯანიშვილის „თავისუფალმა თეატ-  
რმა“ მხოლოდ ერთი სეზონი იარსება.

(1913/14 წლ.), მაგრამ რა სეზონი! მარჯანიშვილმა ამ თეატრით სულ ააფორიაქა თეატრალური ცხოვრება. მან თავი მოუყარა ყველა უანრის საუკეთესო ძალებს. აქ იყვნენ დრამის, ოპერის, ოპერეტის გამოჩენილი მსახიობნი. თეატრის ორკესტრის რიგის დამკვრელებად რჩეული მემუსიკე-სოლისტები იყვნენ. თეატრში მუშაობა დაიწყეს ცნობილმა რეჟისორებმა, მხატვრებმა, კომპოზიტორებმა. საარაკო თანხები იხარჯებოდა თეატრის მოწყობაზე და დადგმებზე. მარჯანიშვილის გამომგონებლობას საზღვარი არა ჰქონდა.

მარჯანიშვილის ფიქრით, ეს იყო სინთეტიკური თეატრი, ხოლო ამ სინთეზს ის ამ ხანად ხედავდა სასცენო ხელოვნების სხვადასხვა უანრის ერთ ჭერ-ჭვეშ ყოფნაში, მათი ურთიერთ შორის ორგანიულად დაკავშირების გარეშე.

შეიძლება შემდეგში ფიქრობდა მარჯანიშვილი განეხორციელებინა სპექტაკლის ნამდვილი სინთეტიკურობა, ხოლო ჭერჭერობით კი ეს არა სჩანდა და თეატრს არა ჰქონდა გარკვეული მთლიანი მხატვრული სახე. |

„თავისუფალ თეატრში“ ერთი სეზონის  
განმავლობაში ოთხი დადგმა იქნა განხორ-  
ციელებული, სახელდობრ: მუსორგსკის  
ოპერა „სოროჩინის ბაზრობა“, ოპერეტა  
„მშვენიერი ელენე“, საოცარი გემოვნებით  
დადგმული თვით მარჯანიშვილის მიერ, ჩი-  
ნური პიესა „ყვითელი კერესი“ ბენრიმოსი  
და პანტომიმა „პიერეტას მოსასხამი“ დონა-  
ნისა.

მეცენატ სუხოდოლსკიმ ვეღარ გაუძლო  
უზომო ხარჯებს და თეატრი გაკოტრდა.  
კერძო მესაკუთრეობის სინამდვილეში შეუ-  
ძლებელი აღმოჩნდა გაბედული ექსპერი-  
მენტების წარმოება, ისიც სამეურნეო სა-  
კითხებში ისეთი უპრაქტიკო აღამიანისათ-  
ვის, როგორიც იყო კოტე მარჯანიშვილი. მე-  
ტად მძიმე იყო მარჯანიშვილის მუშაობით  
გატაცებული მსახიობთათვის თეატრის და-  
ტოვება. მსახიობი ქალი გოლუბევა თავის  
მოგონებებში „თავისუფალი თეატრის“ უკა-  
ნასკნელი წუთების შესახებ სწერს: „როდე-  
საც მიღიოდა უკანასკნელი სპექტაკლი „თა-  
ვისუფალი თეატრისა“, ჩვენ ყველანი შევიქ-  
რიბეთ სცენაზე, რომ გამოვთხოვებოდით  
ერთმანეთს და მარჯანიშვილს. ყველას ისეთი

გრძნობა გვქონდა, თითქოს ვმარხავდით ყველაზე უძვირფასეს ოცნებას“.

„თავისუფალი თეატრის“ ქვალი მანებ  
შერჩა რუსულ თეატრს. ეს გახლავთ მოსკო-  
ვის „კამერული თეატრი“ ა. თაიროვის ხელ-  
მძღვანელობით, რომელიც „თავისუფალი  
თეატრის“ ნანგრევებზე აღმოცენდა. ა. თაი-  
როვი რეჟისორად მუშაობდა კოტე მარჯა-  
ნიშვილთან „თავისუფალ თეატრში“.

ასეთი მარცხის გამო მარჯანიშვილი მოს-  
კოვში აღარც კი დარჩა და პროვინციისა-  
კენ იბრუნა პირი. 1914/15 წლ. სეზონში  
როსტოვის თეატრს ხელმძღვანელობდა, შემ-  
დეგ ერთ წელზე მეტი მსოფლიო ომის  
ფრონტზე დაჭყო და 1916/18 წლებში კი  
პეტროგრადში მუშაობდა.

\* \* \*

უკრაინაში სამოქალაქო ომის ცეცხლი  
ბობოქრობდა. ქალაქი კიევი რამდენჯერმე  
იყო აკლებული თეთრგვარდიელების მიერ. წი-  
თელი არმიის მიერ კიევის მეორეჯერ განთავი-  
სუფლებისას კოტე მარჯანიშვილი კიევში  
იყო. ის დაინიშნა კიევის ყველა ნაციონალი-  
ზებული თეატრების მთავარ რეჟისორად.

მარჯანიშვილი გაიტაცა მუშაობამ, რადგან  
იგრძნო, რომ მას უკვე შეუძლია თავისუფა-  
ლი შემოქმედება კერძო მესაკუთრეების გა-  
ვლენის გარეშე, რომ მას აღარ ზღუდავს ან-  
ტრეპრენიორებისა და თეატრის მესაკუთრე-  
თა კომერციული მოსაზრებანი.

მარჯანიშვილის ხელმძღვანელობის ქვეშ  
აღმოჩნდა ათამდე თეატრი. ერთს მათგანში  
მარჯანიშვილმა უშუალოდ განახორციელა  
ისეთი დადგმა, რომლითაც გამოჰქმდა თავი-  
სი შემოქმედების სრული და გულწრფელი  
მისწრაფება ოქტომბრის სოციალისტური რე-  
ვოლუციის მგზნებარე გზით.

ეს იყო ესპანელი დრამატურგის ლოპე დე-  
ვეგას დრამა სამ მოქმედებად „ცხვრის წყა-  
რო“ („ფუენტე ოვეხუნა“).

მარჯანიშვილმა ეს დადგმა უჩვენა კიევის  
მშრომელებს საერთაშორისო პროლეტარუ-  
ლი დღესასწაულის დღეს, 1 მაისს, „სელოვ-  
ცოვის“ თეატრში.

პიესა გვიჩვენებს ჩაგრული ესპანელი  
ხალხის აჯანყებას მჩაგვრელთა წინააღმდეგ.  
პიესა გვიამბობს, თუ როგორ ავიწროებდა  
გლეხებს მეფის მოადგილე-კომანდორი, თუ  
როგორ იტანდა უსიტყვოდ სოფელი მის

თავაშვებულობას და როგორ ერთსულოვნად  
აჯანყდა კომანდორის წინააღმდეგ გლეხი-ქა-  
ლის ლაურენსიას მეთაურობით.

პიესა მაინცდამაინც არ იძლევა რევო-  
ლუციურ აღმაფრენის სურათს, ფინალში მე-  
ფის „სამართლიანობაა“ გამოსახული, მაგრამ  
მარჯანიშვილმა პიესის ეს აზრი სრულებით  
გააქარწყლა დადგმისას. მეფე და დედოფა-  
ლი მან მანიკენებად აქცია, ხოლო გლეხთა  
რისხვა მჩაგვრელთადმი ბოლომდე შეუნარ-  
ჩუნა პიესას. ამის გამო პიესას ახალი იერი  
მიეცა და ის გადაიქცა სოციალური კონ-  
ფლიქტისა და ბრძოლის გამოსახვის საუკე-  
თესო ნიმუშად. სპექტაკლი იყო გმირობისა  
და რევოლუციური რომანტიულობის გრძნო-  
ბით მოცული. დადგმას ახასიათებდა  
ბრწყინვალე რეუისორული ოსტატობა, გან-  
საკუთრებით მასიური სცენების გამოსახვაში.  
ლაურენსიას როლის შემსრულებლის მსა-  
ხიობ იურენევას გადმოცემით განსაკუთრე-  
ბით კარგი იყო გამარჯვებულ გლეხების ცეკ-  
ვა, იმის შემდეგ, როდესაც ლაურენსია მოჰკ-  
ლავს კომანდორს, ხმალს დააგდებს და შესძა-  
ხებს „ტირანები აღარ არიანო“.

ორმოცდა ორი დღის განმავლობაში გა-  
ნუწყვეტლივ მიღიოდა „ცხვრის წყაროს“  
სპექტაკლები და მუდამ მთავრდებოდა მაყუ  
რებელთა ოვაციებითა და „ინტერნაციონა-  
ლის“ სიმღერით.

სპექტაკლს საგანგებოდ უჩვენებდნენ სა-  
მოქალაქო ომის ფრონტზე მიმავალ წითელ-  
არმიელებს, რათა მათში უფრო გაღვივებუ-  
ლიყო რევოლუციური გატაცება და შეური-  
გებლობა მშრომელთა მტრებისადმი.

„ცხვრის წყაროს“ დადგმა შევიდა რუ-  
სული თეატრის ისტორიაში, როგორც ერთ-  
ერთი პირველი საუკეთესო მხატვრული ნი-  
მუში ახალი საბჭოთა თეატრის მხატვრული  
ხაზისა, და ამ სპექტაკლით კოტე მარჯანი-  
შვილს დაემკვიდრა საბჭოთა თეატრის მოწი-  
ნავე რეუისორის სახელი.

კოტე მარჯანიშვილმა იმ ხანად კიევში  
კიდევ რამდენიმე დადგმა განახორციელა და  
მათ შორის პოეტ ვ. კამენსკის „სტენკა რა-  
ზინი“, რომელშიაც დიდი მხატვრული დამა-  
კერებლობით იყო ნაჩვენები ხალხის აჯანყე-  
ბის სურათები.

1919 წლის შემოდგომას კიევი კვლავ  
თეთრგვარდიელების ხელში ჩავარდა. კოტე

მარჯანიშვილი იძულებული იყო დაეტოვებინა თავისი ნამოღვაწარი, რათა ხელში არ ჩავარდნოდა თეთრგვარდიელთა დაზვერვას და სიცოცხლეს არ გამოსალმებოდა.

ის გაემგზავრა მოსკოვს და შემდეგ პეტროგრადში დაბრუნდა სამუშაოდ. აქ მან აქტიური მონაწილეობა მიიღო საბჭოთა თეატრის შენებაში. ერთ-ერთ თავის, იმ დროინდელ წერილში მარჯანიშვილი ნათლად გმოჰქატავდა თავის მისწრაფებებს ახალი თეატრის შექმნის საქმეში. ის სწერდა: „რუსეთის დიდმა რევოლუციამ და ახალმა სულმა, რომლითაც ამ რევოლუციით მთელი მსოფლიო მოიცვა, დააბრუნეს თეატრი თავის ნამდვილ გზაზე. ახალი მაჯისცემა ფეთქს თეატრის ცხოვრებაში. იგი იკურნება და დღეს თუ ხვალ მტკიცედ შედგება ფეხზე. ჩვენ ამას მოველით, ჩვენ ეს წინდაწინვე გვასარებს. ჩვენ განვდევნეთ სცენიდან ყოველგვარი ფილისტერები და წავალთ წინ სიხარულისა და ბრწყინვალე სინთეტიური თეატრის შექმნისაკენ“.

მარჯანიშვილი პეტროგრადში ხელმძღვანელობდა ახლად მოწყობილ კომიკურ ოპე-

რის თეატრს და შე კვლავ შეეცადა განეხორ-  
ციელებინა სინთეტიკური თეატრის იღეა

თეატრს ოფიციალურად „კომიკური ოპე-  
რა“ ერქვა, მაგრამ მარჯანიშვილმა თეატრში  
თავი მოუყარა ყველა უანრის მსახიობებს,  
უფრო მეტწილად ახალგაზრდობას. სდგამდა  
არა მარტო კომიკურ ოპერებს, არამედ კომე-  
დიებსაც. მთელი რიგი ბრწყინვალე დადგმე-  
ბისა განახორციელა მარჯანიშვილმა სინთე-  
ტიკური თეატრის სახის ძიებაში. 1921 წელს  
თეატრმა შესწყვიტა არსებობა, რადგან ახა-  
ლი ეკონომიური პოლიტიკის („ნეპის“) შე-  
მოღების გამო სამეურნეო ანგარიშზე გადა-  
სულმა, ვერ შესძლო მატერიალურად ფეხის  
მომაგრება. მარჯანიშვილი აქაც ვერ გამოდ-  
გა სამეურნეო ანგარიშიანობის მცოდნე და  
უნარის მქონე.

პეტროგრადში მუშაობისას მან განახორ-  
ციელა ერთი იშვიათი დადგმა, რომელშიც  
გამოიჩინა მხატვრული ორგანიზატორობის  
უდიდესი ოსტატობა.

კომუნისტური ინტერნაციონალის მსოფ-  
ლიო კონგრესის პატივსაცემად 1920 წლის  
19 ივლისს პეტროგრადის პროსპექტებზე მან  
აჩვენა გრანდიოზული ისტორიულ-გმირული

ინსცენირება „მსოფლიო კომუნისაკენ“. ინსცენირებაში მონაწილეობას იღებდნენ 4000-შემდე მონაწილე, სამხედრო ნაწილები, გემბი მდინარე ნევაზე. მარჯანიშვილმა ამ დაღვები მდინარე ნევაზე. მარჯანიშვილმა ამ დაღვები, რომელიც გასაოცარი სიმწყობრით რყო ჩატარებული, გვიჩვენა მასიური სცენების განსახიერების უდიდესი ოსტატობა.

გრანდიოზულმა სანახაობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოვლენილ კონგრესის დელეგატებზე.

1921/22 წელს მარჯანიშვილი მოსკოვშია. მას ავალებენ მასიურ სანახაობის მოწყობას კაცობრიობის კულტურის განვითარების თემაზე, რომლის სცენარს მაქსიმ გორკი სწერდა, მაგრამ დადგმა ვერ განხორციელდა. დადგმისათვის დიდი თანხები იყო საჭირო, რაც იმ დროს არ აღმოაჩნდა სათეატრო ორგანიზაციებს.

\* \* \*

1922 წლის სექტემბრის თვეში კოტე მარჯანიშვილი თავის მშობლიურ ქვეყანაში ჩამოვიდა, როგორც დასრულებული, სახელმოხვეჭილი საბჭოთა რეუისორი.

მას სურდა ქართული თეატრისათვის გა-  
მოეყენებინა თავისი შემოქმედებითი უნარი,  
თავისი სცენიური ოსტატობა. მას სურდა  
გაემტკიცებინა კავშირი რუსული და ქარ-  
თული თეატრებს შორის, უკვე ახალ ხანა-  
ში, საბჭოთა ხელისუფლების ხანაში, რომე-  
ლიც ქართველმა ხალხმა მოიპოვა რუსეთის  
გურიაშვილთა და მისი ძლევამოსილი წითელი  
არმიის დახმარებით.

კოტე მარჯანიშვილი არას დროს არ ივიწ-  
ყებს რუსულ თეატრს. აღტაცებით იხსენებს  
თავის მოღვაწეობის წლებს რუსულ სცენა-  
ზე. მემუარებში ის არა ერთ თბილ სტრიქონს  
უძღვნის დიდ რუს ხალხსა და მის მდიდარ  
კულტურას, რომლის ნიადაგზე მან შეიძინა  
ოსტატობა და სახელი.

„გულითადი მაღლობა მას, ჩემს მეორე  
სამშობლოს, მაღლობა მშვენიერ რუსეთს“...

რას წარმოადგენდა ამ დროს ქართული  
თეატრი, რომელიც მარჯანიშვილმა მუიჩნია  
სამოღვაწეო ასპარეზად?

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში  
საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ამ დღი-  
დან ქართველი ხალხი, ლენინ-სტალინის  
პარტიის ხელმძღვანელობით, მტკიცედ და

განუხრელად დაადგა ახალი ცხოვრების გზას.  
ამ დღიდან ჩაეყარა საძირკველი ახალს, სო-  
ციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობას.

დაიწყო ქართული ეროვნული კულტურის  
აღორძინება. ნიადაგი შეიქმნა ამ კულტურის  
ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის — ქარ-  
თული თეატრის განვითარებისათვისაც, რო-  
მელიც მოწოდებული იყო გადაქცეულიყო  
მშრომელთა მასების მხატვრულ-პოლიტიკურ  
აღზრდის ღირსშესანიშნავ იარაღად.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებას სათეატ-  
რო დარგში მეტად უმწეო მემკვიდრეობა  
დარჩა წარსულიდან. ქართული თეატრი, დაქ-  
ვეითებული და მხატვრულ უნარიანობას  
მოკლებული იყო მენშევიკური მთავრობის  
უკულმართი „ხელმძღვანელობის“ წყალო-  
ბით, ისევე ლარიბი და უნიათო იყო, რო-  
გორც საერთოდ მენშევიკური მართვა-გამ-  
გეობის პერიოდის მთელი კულტურული ვი-  
თარება.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას  
საქართველოში არსებობდა მხოლოდ ერთად-  
ერთი თეატრი, რომელსაც ცოტად თუ ბევ-  
რად ორგანიზებული სახე ჰქონდა, — ღრამა-

ტიული თეატრი თბილისში. 1921 წელს იქ  
თავმოყრილი იყო თითქმის ყველა ქართვე-  
ლი მსახიობები და რეჟისორები, სხვადასხვა  
მხატვრული შეხედულებებით და მუშაობის  
შეთოდით.

ბოლშევიკურმა პარტიამ და საბჭოთა ხე-  
ლისუფლებამ 1921 წელს განახორციელა  
მთელი რიგი ორგანიზაციული ღონისძიებანი  
სათეატრო ხელოვნებისა და კერძოდ თბილი-  
სის ქართული ღრამის მუშაობის მკვიდრ ნია-  
დაგზე დასაყენებლად. მოხდა ყველა სანახაო-  
ბითი დაწესებულებების ნაციონალიზაცია  
და მთელი მათი შემაღენლობათა სახელმწი-  
ფო ხარჯზე გადაყვანა. 1921 წლის  
შემოდგომაზე თბილისის ქართულ ღრამის  
თეატრს ეწოდა გენიალური პოეტის შოთა  
რუსთაველის სახელი. თეატრი უზრუნველ-  
ყოფილი იქნა თანხებით მატერიალურ-ტექ-  
ნიკურ მოწყობისათვის.

მაგრამ ეს ღონისძიებანი ვერ სწყვეტდა  
თეატრის შემოქმედებითი გამოცოცხლების  
საკითხს. თეატრში არ არსებობდა ერთიანი  
მხატვრული მიმართულება. სუსტი იყო შე-  
მოქმედებითი დისციპლინა, ერთგვარი უნ-  
დობლობა იყო ძველი მსახიობებისა ახალ-

გაზრდა თაობისადმი, რომელმაც ~~სტუდიური~~  
მუშაობა აწარმოეს 1918 წლიდან და უკლებ-  
ლივ შევიღნენ თეატრის შემაღენლობაში.

თეატრის ასეთი მდგომარეობის შედევად  
სპექტაკლები შაბლონიური, ტრაფარეტული,  
უსიცოცხლო იყო. რეპერტუარი — ძველი  
პიესები და ისიც მრავლად. 1920/21 წლ. სე-  
ზონში დადგმული იყო 22 პიესა 10 სხვადა-  
სხვა რეჟისორის მიერ.

თითქმის ასეთივე იყო 1921/22 წლ. სა-  
თეატრო სეზონი.

თეატრი თითქოს ყურს იყრუებდა სო-  
ციალ-ეკონომიურ გარდატეხის მიმართ, რო-  
მელიც საქართველოს სინამდვილეში მოხდა.   
ამ სინამდვილემაც თავისებურად უპასუხა  
თეატრის ასეთ ჩამორჩენას. თეატრს მოაკლ-  
და მაყურებელი, რაღან მის დადგმებში ვერ  
ჰქოვა თავისი ახალი სულისკვეთებისა და  
მიმართულების გამოძახილი. სათეატრო დარ-  
ბაზი შუდამ ნახევრად ცარიელი იყო.

პარტია და ხელისუფლება სცდილობდა გა-  
მოეცოცხლებინა თეატრი. საბჭოთა პრესა,  
პროფესიონალური კავშირები, მთელი რიგი  
კალკეული შემოქმედებითი მუშაკებისა —  
საერთოდ მთელი საბჭოთა საზოგადოებრი-

ვობა კატეგორიულად სვამდნენ საკითხს  
თეატრის შემოქმედებითი გარდაქმნის შე-  
სახებ. ასეთივე მისწრაფებით იყო მოცუ-  
ლი თვით რუსთაველის თეატრის შემაღვენ-  
ლობის ახალგაზრდა ნაწილიც.

ამავე დროს მოხშირდა ლაპარაკი ქართუ-  
ლი თეატრის ვითომდა უპერსპექტივობის  
შესახებ, მისი „კერის გაცივების“ შესახებ.  
გარემოდა ხმები რომ თეატრი კრიზისს გა-  
ნიცდის და ამ კრიზისის დაღწევა შეიძლება  
მხოლოდ თეატრის დახურვით და მუშაობის  
ხელახალი დაწყებით, სტუდიური წესათ.

თეატრის „კერის გაცივებისა“ და, აქედან  
გამომდინარე, თეატრის დახურვის აზრები  
რეაქციულად და ნაციონალისტურად გან-  
წყობილ ინტელიგენციის ფენებიდან გამო-  
დიოდა. ზოგიერთი მათგანი, თავისი უკუღ-  
ბართი აზროვნებით, ვერ შერიგებოდა საბ-  
ჭოთა ხელისუფლების დამყარების ისტო-  
რიულ ფაქტს და ამიტომ სცდილობდა შავ  
ფერებში წარმოედგინა საბჭოთა საქართვე-  
ლოს განვითარება და კერძოდ თეატრის მო-  
მავალი.

სწორედ ამ დროს მოევლინა ქართულ  
თეატრს კოტე მარჯანიშვილი, რეჟისორი-

ნოვატორი და გაბედული ექსპერიმენტატორი.

მარჯანიშვილი სულ მალე გაეცნო ქართული თეატრის ვითარებას და გადასწყვიტა ჩარეულიყო მის მუშაობაში.

მარჯანიშვილის საქართველოში ჩამოსკლის შემდეგ 1922 წლის სექტემბრის თვეში საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატში შესდგა თათბირი სათეატრო საკითხებზე. თათბირის მიზანი იყო გაერკვია რუსთაველის თეატრის მდგომარეობა და გამოენახა ღონისძიებანი მისი მუშაობის გამოსაცოცხლებლად. ამ თათბირზე კოტე მარჯანიშვილი მოიწვიეს.

თათბირზე კვლავ დადასტურდა თეატრის მძიმე მდგომარეობა და წამოიჭრა საკითხი რუსთაველის თეატრის დახურვისა და სტუდიურ მუშაობაზე გადასვლის შესახებ.

მარჯანიშვილი თეატრის დახურვის კატეგორიული წინააღმდეგი გამოვიდა. მან დაჰგმო რუსთაველის თეატრის მუშაობის ძველი, დრომოქმული ფორმები, მისი შეზღუდულობა. მან დასახა თეატრის ახალი ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობდნენ ქართველი ხალხის ახალი ცხოვრების არსიდან. მან ჭანაცხადა, რომ თეატრი კი არ უნდა დაიხუ-

როს, არაშედ უნდა გარდაიქმნას არსებული  
ძალების გამოყენებით.

მარჯანიშვილის აზრით ქართველ არტისტი  
ქართულ თეატრს შემოქმედებითი ზრდისა  
და განვითარების სრული ძალა და საშუალე-  
ბა ჰქონდა და ამ თავისი მოსაზრების გასა-  
მართლებლად მან იკისრა ერთი დადგმის  
განხორციელება რუსთაველის თეატრში.

კრებამ მიიღო მარჯანიშვილის წინადაღება.  
კოტე მარჯანიშვილი შეუდგა მუშაობას. მან  
გადასწყვიტა დაედგა „ცხვრის წყარო“, იმა-  
ვე გეგმით, როგორც კიევში.

ხუთშაბათს, 28 სექტემბერს მარჯანიშვილი  
პირველად შეხვდა რუსთაველის თეატრის  
დასს, გაანაწილა როლები და მოკლე სიტყვა  
წარმოსთქვა დადგმის ამოცანების შესახებ

მარჯანიშვილმა მხოლოდ 30 რეპეტიცია  
მოანდომა დადგმის მომზადებას. სამუშაო  
დრო ამ რეპეტიციებზე სულ უდრიდა 70  
საათს.

25 ნოემბერს გაიმართა „ცხვრის წყაროს“  
პირველი წარმოდგენა (ლაურენსია — თ. ჭავ-  
ჭავაძე). მარჯანიშვილი ამ წარმოდგენის შე-  
სახებ სწერს თავის მემუარებში, რომ „მისი  
მნიშვნელობა საკმაოდ ხასიათდება იმით

მაინც, რომ შესწყდა ლაპარაკი თეატრის და-  
ხურვის შესახებო».

მაგრამ ის გადაშეტებულად თავდაპლობას,  
როდესაც ამ წარმოდგენას მნიშვნელობას  
შეოლოდ თეატრის დახურვაზე ლაპარაკის  
შეწყვეტით ფარგლებს.

შეწყდა ლაპარაკი თეატრის დახურვაზე,  
მაგრამ ალაპარაკდა მთელი საბჭოთა საზოგა-  
დოებრიობა იმ დიდი გამარჯვების გამო, რაც  
წილად ხვდა რუსთაველის თეატრს. აღიარე-  
ბული იქნა, რომ ამ წარმოდგენით ქართულ  
თეატრს ახალი ხანა დაეწყო, რომ სწორედ  
ის არის ჩანასახი ქართული საბჭოთა თეატ-  
რისა!

დადგმა განირჩეოდა თავისი დიდი თეატ-  
რალობით, დინამიურობით, კოლექტიურო-  
ბით. ჩვენს სცენაზე გამოჩენდა ერთსულოვა-  
ნი, ერთი მხატვრული მიზნით და კოლექ-  
ტიური გრძნობით აღჭურვილი დასი. ყოვე-  
ლი ცალკეული მსახიობის მიერ გამოვლინე-  
ბული სცენიური სახე გარმონიულ მთლიანო-  
ბაში იყო მოქცეული პიესის მსვლელობის  
მთელს მანძილზე.

ეს იყო საუცხოო სანახაობა თავისი სო-  
ციალური სიმართლით და ხალხურობით.

კოტე მარჯანიშვილმა ამ სპექტაკლით  
პირველად უჩვენა ქართველ მაყურებელს  
თავისი დიდი რეჟისორული შესაძლებლობა-  
ნი. მან ამ წარმოდგენაში ბრწყინვალედ გა-  
ნახორციელა თავისი შეხედულება სათეატ-  
რო ხელოვნებისადმი, როგორც სიხარულისა  
და სიმხენევის შთამნერგავ სანახაობისადმი.

ამ დადგმით დამტკიცდა ის აზრი, რომ ქარ-  
თულ თეატრს საკმაო პოტენციალური ძალა  
ჰქონდა; მხატვრული გარდაქმნისა და განვი-  
თარებისათვის. დამტკიცდა, რომ თეატრს  
ჰყავდა ნიჭიერი ძალები, განსაკუთრებით  
ახალგაზრდობა, რომელიც გულწრფელად  
იყო მოწადინებული ქართული თეატრის ახა-  
ლი გზების ძიებაში.

პრესამ დიდი ქებით მოიხსენია მარჯანი-  
შვილის ეს პირველი დადგმა. საქართველოს  
პროფესიონალურ კავშირთა ორგანო გაზეთი  
„მუშა“ სწერდა:

„პიესა დიდის გამარჯვებით დამთავრდა. რე-  
ჟისორის მაღლიან ნიჭის და შრომას გარდა-  
უქმნია ქართველი მსახიობი. ამ წარმოდგე-  
ნით რეჟისორმა დაამტკიცა თავის დიდ ცოდ-  
ნასთან ერთად, რომ ქართველ მსახიობსაც  
შეუძლია გამარჯვება და ინტერესის გა-

მოწვევას. წარქოდგენას დიდძალი საზოგადოება და დაუსწრო. იყვნენ მთავრობისა და კულტურული საზოგადოების წარმომადგენლებიც. დასასრულს რეჟისორს საზოგადოებამ მადლობა გადაუხადა მხურვალე ტაშის ცემით და მასვე მიჰმართეს სიტყვებით მსახიობთა წარმომადგენლებმა. რეჟისორმა განაცხადა, რომ იგი დარჩება და იმუშავებს ქართულ სცენაზე. იგივე პიესა მეორეჯერ დაიდგა ხსენებულ თეატრში. თეატრი ამ დღესაც ხალხით გაჭედილი იყო“.

ასეთივე აზრის იყო დადგმაზე გაზეთი „კომუნისტი“.

ამ ტრიუმფის შემდეგ მარჯანიშვილი ოფიციალურად იყო დანიშნული რუსთაველის თეატრის მხატვრულ ხელმძღვანელად.

კოტე მარჯანიშვილი ჩაება თეატრის მუდმივ მუშაობაში. მისი მორიგი დადგმა იყო ზ. ანტონოვის კლასიკური კომედია „მზის დაბნელება საქართველოში“, რომელიც ნაჩვენები იქნა 1923 წლის 2 იანვარს, საზეიმო გარემოცვაში.

პიესაში მონაწილეობას იღებდნენ რჩეული ძალები: ვასო აბაშიძე, მაკო საფაროვიაბაშიძისა და სხვანი. ერთ-ერთ როლს (რუ-

სი მოხელისას) ასრულებდა გამოჩენილი  
მსახიობი ა. სუმბათაშვილი-იუჟინი, რომე-  
ლიც იმხანად თბილისში იმყოფებოდა თავისი  
40 წლის მოღვაწეობის საიუბილეო დღესას-  
წაულის გამო.

ეს დადგმაც რუსთაველის თეატრისა და  
მარჯანიშვილის დიდ გამარჯვებად ჩაითვალა.

ქართულ თეატრში მრავალჯერ დადგმული  
და შაბლონიურ ნაწარმოებად ჩათვლილი  
პიესა „მზის დაბნელება“ სრულიად გარ-  
დაიქმნა. მარჯანიშვილმა გარეგნულად ხელ-  
უხლებლად დასტოვა პიესაში გამოყვანილი  
ქართულ თეატრში მრავალწლობით დადგე-  
ნილი სცენიური სახეები ვაჭრების, აზნაუ-  
რების, გლეხებისა და სხვათა, მაგრამ ისეთი  
სიცოცხლითა და ბუნებრივობით დაუკავში-  
რა ერთმანეთს, ისეთი ნათელი რეალისტური  
გავება მისცა მათ, რომ კომედია სრულიად  
ახლებურად ალაპარაკდა. განსაკუთრებული  
ოსტატობით იყო დადგმული მასიური სცე-  
ნები. დადგმა ალტაცებით მიიღო მაყურე-  
ბელმა და ის მრავალ წელს ერთ-ერთ საუკე-  
თესო სპექტაკლად შერჩა თეატრს. აღსანიშ-  
ნავია ის გარემოება, რომ ტექნიკურად მე-  
ტად რთული დადგმა მარჯანიშვილმა სულ

13 რეპეტიციით მოაშზადა, 37 სამუშაო ~~საა-~~  
თის განმავლობაში.

ამ სეზონში მარჯანიშვილის შემდეგი დად-  
გმა იყო ოდრანოს ცნობილი ოპერეტა „მას-  
კოტ“.

ოპერეტის დადგმით მარჯანიშვილს სწად-  
და გამოეცადნა ქართველი მსახიობი მისთვის  
უჩვეულო უანრში. ეს დადგმაც წარმატებით  
იყო დაძლეული რუსთაველის თეატრის მსა-  
ხიობთა კოლექტივის მიერ.

მაგრამ თუ საბჭოთა მაყურებელმა აღტა-  
ცებით მიიღო განახლების გზაზე დამდგარი  
რუსთაველის თეატრის პირველი წარმოდგე-  
ნები, ასე არ შეხედეს ამ მნიშვნელოვან  
ფაქტს საქართველოში შერჩენილმა ზოგიერ-  
თმა მენშევიკურ-ნაციონალისტურად განწ-  
ყობილმა ელემენტებმა. მათ არ მოსწონდათ  
კოტე მარჯანიშვილის გაბედული შემოქმე-  
დებითი ნაბიჯები და რუსთაველის თეატრის  
განახლების გზა, რადგან ეს აქარწყლებდა  
მათ მავნებლურ დებულებას ქართული თე-  
ატრის „კრიზისის“ შესახებ. მათ არ მოსწონ-  
დათ ის გარემოება, რომ კოტე მარჯანიშვილი  
მხატვრულ-პოლიტიკურ საკითხებში მტკი-  
ცედ და გარკვეულად იდგა ჩვენი ხელისუფ-

ლების პოზიციებზე. ეს რეაქციონერები  
ილაშქრებდნენ კოტე მარჯანიშვილის ნოვა-  
ტორობის წინააღმდეგ. ამ მტრულ განწყო-  
ბას თვით თეატრშიც აღმოუჩნდნენ თანამ-  
გრძნობნი. ესენი იყვნენ ზოგიერთი ძველი  
თაობის მსახიობები, რომლებიც ვერ ეგუ-  
ბოდნენ მარჯანიშვილის რეფორმატორობას  
და არ სურდათ დამორჩილებოდნენ მის მიერ  
შემოღებულ მტკიცე შემოქმედებით დის-  
კიპლინას.

1923/24 წლ. სათეატრო სეზონში რუსთა-  
ველის თეატრი უკვე მთლიანად კოტე მარ-  
ჯანიშვილის ხელმძღვანელობით მუშაობდა.  
სეზონის განმავლობაში განხორციელებული  
იქნა 8 ახალი დადგმა. თვით მარჯანიშვილმა  
დადგა გ. ერისთავის „გაყრა“, ხ. ბენავენტეს  
„ინტერესთა თამაში“ და ჭ. სინგის „გმი-  
რი“. რეჟისორ მ. ქორელთან ერთად დადგა  
ე. ტოლერის „კაცი მასა“ და მოლიერის  
„გაზნაურებული მდაბიო“.

მარჯანიშვილი ცდილობდა მაყურებლისა-  
თვის ეჩვენებინა ეპოქის თანხმოვანი შინაარ-  
სის ნაწარმოებნი, მაგრამ არც ქართულსა და  
არც რუსულ დრამატურგიაში ამ დროს ჭერ  
არ ჩანდა თანამედროვე საბჭოთა შინაარსის

პიესები. ამ გარემოების გამო მარჯანიშვილმა მიჰმართა უცხოურ დრამატურგიას. ეს იყო გერმანელ ექსპრესიონისტ დრამატურგის ე. ტოლერის დრამა „კაცი მასა“, რომელიც თავისი ანტიკაპიტალისტური ტენდენციებით ერთგვარად ეხმაურებოდა თანადროულობას. ის გაღმოგვცემდა გერმანიის მუშათა რევოლუციონურ გამოსვლების სურათებს და დაწერილი იყო რევოლუციის დამარცხებით გამოწვეულ მწარე განცდების გავლენის ქვეშ. კ. მარჯანიშვილმა რუსთაველის თეატრის კოლექტივი ამ პიესაშიც შესრულების მაღალ პროფესიონალურ დონეზე აჩვენა.

მარჯანიშვილი მტკიცედ იცავდა ახალგაზრდობის მიერ აღებულ გზას თეატრის განახლებისათვის ბრძოლაში და ამართლებდა მათ ნაბიჯებს. ის შემდეგს სწერდა ერთ-ერთ თავის სტატიაში გაზეთ „ქართულ სიტყვაში“ 1924 წელს: „ვფიქრობდი უმტკივნელოდ მომენტინა თეატრის გარდაქმნა ძველიდან ახალზე თანდათანი გადასვლით, მაგრამ, როგორც ყოველთვის, კომპრომისებმა უარყოფითი შედეგი მოგვცა. გადასვლა გამოვიდა არა უმტკივნელო, პირიქით, საგრძნობლად შეარყია მთელი ორგანიზმი. ახალი იდეალე-

ბით გატაცებულმა ახალგაზრდობამ, — რომ-  
ლებმაც უკვე იგემეს წარმოდგენისათვის ნამ-  
დვილი სერიოზული მომზადების მნიშვნე-  
ლობა, არ ისურვა უკან დახევა და თავისი  
იღეალების შესანარჩუნებლად შემოიკრიბა  
კორპორაციაში“...

თეატრში შექმნილი მდგომარეობა მარტო  
ლაპარაკითა და წერით არ განისაზღვრა. გან-  
ხეთქილება დასში რეალურ ფაქტად იქცა და  
სეზონის დამლევს ძველი მსახიობების ნა-  
წილმა თეატრი დასტოვა. განხეთქილება მთელ  
ქართველ მსახიობთა წრეში გადავიდა. 1924  
წლის ივლისში შესდგა ქართველ მსახიობთა  
კავშირის ყრილობა. ამ ყრილობაზე დიდი კა-  
მათი გამოიწვია რუსთაველის თეატრში შექ-  
მნილმა მდგომარეობამ. კამათის შედეგად  
კავშირს გამოეყო ახალი თეატრის მომხრე  
ნაწილი და ცალკე კავშირი დააარსა.

ამ ახალი კავშირის პირველ სხდომას სა-  
ზეიმო ხასიათი მიეცა, რადგან სხდომაზე მო-  
ვიდა კავშირის საპატიო თავმჯდომარედ არ-  
ჩეული კოტე მარჯანიშვილი. ის სწორედ იმ  
დღეს დაბრუნდა მოსკოვიდან და მიაშურა  
სხდომას, რათა მისალმებოდა ახალ კავშირს  
და გაეზიარებინა დამსწრეთათვის თავისი

შთაბეჭდილებანი მოსკოვის მხატვრული  
ცხოვრების შესახებ.

კავშირმა მიიღო დეკლარაცია, რომელიც  
ნათელჲყოფდა მისი წევრების თანამგზავრულ  
მისწრაფებას. დეკლარაცია შემდეგი სიტყვე-  
ბით მთავრდებოდა: „ჩვენ მათთან ვართ,  
ვინც აწარმოებს პოლიტიკას გამარჯვებულს,  
ახლისა და უკეთესის მერმისის მშობელს...  
მაშ ჩვენთან ერთად ახალ ქვეყნისაკენ, მა-  
რადიულის და ახალის აღმშენებლებთან“...

კოტე მარჯანიშვილი და მისი თანამოაზრე  
მსახიობნი ცდილობდნენ თანამგზავრულ პო-  
ზიციებზე მოქმედიათ ხელოვანთა უფრო ფარ-  
თო წრეები. ამ მხრივ ინტერესმოქლებული  
არ იქნება მოვიყვანოთ ის მოწოდება, რომ-  
ლითაც 13 ივლისს პრესის საშუალებით მი-  
მართა მარჯანიშვილმა მსახიობებს, მწერ-  
ლებს, პოეტებს, მხატვრებს, მოქანდაკეებსა  
და მუსიკოსებს.

მოწოდებაში მარჯანიშვილი ჰკიცხავდა  
ქართველი ინტელიგენციის რეაქციულად  
განწყობილ ნაწილს, რომელიც წინააღმდეგი  
იყო ქართული თეატრის განახლებისა. ის მო-  
უწოდებდა „ყველა ახალგაზრდას, ჯანსალს,  
სასიცოცხლოს — გასწყვიტონ კავშირი დრო-

მოჭმულ მეშჩანობასთან და არარსებულ და  
განუხორციელებელ ოცნებისათვის ოხვრას-  
თან, მეღგრად მოჰკიდონ ხელი, პოლიტიკურ  
აღმშენებლობასთან ერთად, ახალი ხელოვნე-  
ბის ორგანიზაციულ საქმეს, განამტკიცონ სა-  
კაცობრიო ახალი კულტურა, ეროვნებათა  
ყოველივე თავისებურებით”...

მარჯანიშვილი სწერდა, ვისაც გულწრფე-  
ლი მოღვაწეობა სურს მშობლიური ხელოვ-  
ნებისათვის, ის მოვალეა აქტიურად ითანამ-  
შრომლოს არსებულ წესწყობილებასთან. მოუწოდებდა ნუ გაიმეორებდენ რუსი ინ-  
ტელიგენციის ნაწილის საბედისწერო შეც-  
დომებს, „რომელმაც ისეთ რამეში, რაც იყო  
პირდაპირი მისი მოვალეობა, ხელი დაიბანა  
მხოლოდ იმიტომ, რომ არ სურდა თანამშრო-  
მლობა ბოლშევიკებთან; ორგანიზაციისაკენ;  
დე, იმათ, ვისაც ეჩოთირებათ ასეთი, მალუ-  
ლი ოხვრა-კვნესით შეექცენ თავიანთ ოცნე-  
ბებს, ჩვენ კი ხელიხელ ჩაკიდებული სინამ-  
დვილესთან, მუშაობისაკენ — მომავლისა და  
ჩვენი მშობლიური ხელოვნებისათვის. ერთ-  
ხელ და სამუდამოდ უთხრათ ამ მკვნესარე,  
ხანგადასულ გასათხოვარ ქალთა მსგავსთ,  
რომ მათ ჩვენთან საერთო არა აქვთ-რა. ვინც

ჩვენთან არ არის, იყო შინააღმდეგია ჩვენი!“...

შემდეგი ორი სატეატრო სეზონის განმავლობაში (1924/25 წლ. და 1925/26 წლ.) რუსთაველის თეატრმა კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით მთელი რიგი საინტერესო დადგმები აჩვენა. რეპერტუარი მრავალფეროვანი იყო შინაარსითა და ფორმით. კოტე მარჯანიშვილი ცდილობდა მისი სხვადასხვაობით გაეწროთვნა და დაეხელოვნებინა შინაგანი უთანხმოებისაგან განთავისუფლებული მსახიობთა კოლექტივი.

ამ პერიოდის ახალ დადგმათაგან მარჯანიშვილისებური ბრწყინვალე ოსტატობით იყო განხორციელებული შექსპირის „ჰამლეტი“ (ჰამლეტი — უ. ჩხეიძე და გ. დავითაშვილი, ოფელია — ვ. ანჯათვარიძე, კლავდიუსი — ა. ვასაძე, ლაერტი — ა. ხორავა). დადგმაში სრულიად ახალი გაგებით იყო გახსნილი თვით ჰამლეტის და მასთან ერთად დანარჩენი პერსონაჟების სახეები.

ეს პრ იყო ჰამლეტი ტრადიციული გაგებით — ნევრასტენიული და პესიმისტური ტიპი, არამედ აღამიანი საღი გონების და დიდი გრძნობების, ხოლო შინაგანი ფსიქოლო-

გიური წინააღმდეგობის შემცველი. ჰამლეტ-ში ნაჩვენები იყო ტრაღედია აღამიანისა, რომელიც ორი სხვადასხვა ეპოქის მიჯნაზეა და მწვავედ განიცდის ამ ეპოქათა წინააღმდეგობას. ასეთი მიხვედრით მოცემული ჰამლეტი მარჯანიშვილმა თანამედროვეობას: დაუახლოვა და მისი ფსიქოლოგია ნათელი და გასაგები გახდა დღევანდელი მაყურევლისათვის. ფორმით სპექტაკლი ერთგვარად სტილიზებული იყო, მაგრამ ძირითადში უ სცილდებოდა რეალისტურ მიმართულებას.

დადგმა განირჩეოდა თეატრის ნიჭიერი ახალგაზრდობის დაწინაურებით. სპექტაკლს მაყურებელმა საუკეთესო შეფასება მისცა.

1926 წლის დასაწყისიდან კოტე მარჯანიშვილი ხანგრძლივი ავაღმყოფობის გამო არ სებითად ჩამოშორდა რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელობას და სეზონის დამთავრებისას კი სულ დაანება მას თავი.

ოთხი სათეატრო სეზონის განმავლობაში ხელმძღვანელობდა მარჯანიშვილი რუსთაველის თეატრს და ეს წლები ჩაითვლება ქართული თეატრის სრული განახლებისა და საბჭოთა ქართული თეატრის საძირკველის ჩაყრის ხანად.

ამ ნამოღვაწარით მარჯანიშვილი ~~შეუძლა~~  
ქართული კულტურის ისტორიაში, როგორც  
ქართული თეატრის რეფორმატორი აზალი  
სოციალურ ფორმაციაში, სოციალისტურ სა-  
ზოგადოების ეპოქაში.

მარჯანიშვილმა ოთხი წლის განმავლობაში  
დაანახვა მაყურებელს ქართველი მსახიობის  
შემოქმედებითი ძალა, დაამტკიცა, რომ ქარ-  
თველი მსახიობი დიდი მხატვრული უნარის  
მქონეა და საჭირო იყო მხოლოდ მტკიცე ხე-  
ლი ამ უნარის გამოსამჟღავნებლად.

თავისი მუშაობის შედეგად მარჯანიშვილ-  
ბა გამოავლინა და ქართული თეატრის ოს-  
ტატთა პირველ წყებაში ჩააყენა ნიჭიერი  
ახალგაზრდობა — ვ. ანჯაფარიძე, თ. ჭავჭა-  
ძე, გ. დავითაშვილი, ა. ვასაძე, უ. ჩხეიძე,  
ა. ხორავა. ამ ახალგაზრდა თაობამ თავისი  
ნიჭით, შრომისმოყვარეობით, მტკიცე შემოქ-  
მედებითი დისციპლინით და აქტიური საზო-  
გადოებრვი მოღვაწეობის უნარიანობით შექ-  
მნა ქართული საბჭოთა თეატრის შემოქმედ-  
ობა დასრულებული სახეები.

ოთხი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად  
გაიზარდა რუსთაველის თეატრის როლი,  
როგორც მასების მხატვრულ-პოლიტიკუ-

რი აღზრდის ორგანიზაციისა. მშრომელთა მასებთან დაახლოვების მიზნით თეატრში შემოღებული იყო წარმოდგენების გამართვა ამა თუ იმ წარმოების მუშებისათვის და წარმოდგენების გადატანა მუშათა რაიონებში. თეატრმა ორგერ გასტროლები მოაწყო საქართველოს დაბა-ქალაქებში. ფართო მასშტაბით იყო მოწყობილი მეორე გასტროლები 1926 წლის ზაფხულში. თეატრი მოგზაურობდა  $2\frac{1}{2}$  თვის განმავლობაში და საუკეთესო დადგმების 69 წარმოდგენა გამართა 17 დაბა-ქალაქში. პირველი იყო ქართული თეატრის ისტორიაში ასეთი ფართო მასშტაბის და მხატვრული სიძლიერის მოგზაურობა. ამ მოგზაურობის შედეგად საბჭოთა საქართველოს ყოველ მნიშვნელოვან კუთხეში დაინერგა ქართული თეატრის ახალი სახე, კოტე მარჯანიშვილის მიერ გაცოცხლებული და გაფანსაღებული.

ცხადია, შეუძლებელი იყო ქართული ოეატრის ასეთი გაბედული წინსვლა, რომ მას შესაფერი ნიადაგი არ ჰქონდა. ამ ნიადაგის შემქმნელი კი იყო საბჭოთა ხელისუფლება. ხელმძღვანელი ორგანოები ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ რუსთაველის თეატრს და მის

ხელმძღვანელს კოტე მარჯანიშვილს შემოქმედებით მოღვაწეობაში, რაღაც ხელავდნენ თეატრის უდავო გამარჯვებას საბჭოთა თეატრის სახის ძიებაში.

მართალია, კოტე მარჯანიშვილს ამ ხანის შუშაობაში ნაკლიც ახასიათებდა. მთავარი ის იყო, რომ თავის შემოქმედებაში მან სავსებით ვერ დააღწია თავი ბურუუაზიულ ესთეტიზმის ნაშთებს. მის დადგმებს ემჩნეოდა ფორმალიზმის ელემენტები. მაგრამ მიუხედავად ამისა მარჯანიშვილისა და მისი ხელმძღვანელობით სათეატრო კოლექტივის შემოქმედებითი ხაზი ძირითადად სწორად იყო მიმართული სცენიური რეალიზმის დასამკვიდრებლად.

\* \* \*

შემდგომი ორი წლის განმავლობაში კოტე მარჯანიშვილი მიწვეული იყო კინოსურათების დასადგმელად საქართველოს კინომრეწველობაში. ამ ხანს მან განახორციელა ოთხი კინოსურათის დადგმა. ეს სურათები იყო: „სამანიშვილის დედინაცვალი“, „კომუნარის ჩიბუხი“, „კრაზანა“ და „ამოკი“. მეხუთე კი-

ნოსურათი „ქარიშხალის წინ“ მან ~~ამათზე~~  
ადრე დადგა საქართველოს სოციალურ უწ-  
რუნველყოფის სახალხო კომისარიატის და-  
ვალებით.

მართალია, მარჯანიშვილის მიერ დადგმუ-  
ლი კინოფილმები მხატვრული ოსტატობის  
საკმაო ღირსების იყვნენ, მაგრამ მათში მე-  
ტად შესამჩნევი იყო თეატრალური პირობი-  
თობა. კოტე მარჯანიშვილი ვერ შეეგუა კი-  
ნოხელოვნების სპეციფიურობას, რადგან ის  
შეჩვეული იყო მსახიობთა უშუალო განცდის  
გარშემო მუშაობას. მაგრამ თუ თავისი უდი-  
დესი თეატრალური გამოცდილება მარჯანი-  
შვილმა კინოხელოვნებას არ დაუმორჩილა,  
პირიქით, ორი წლის კინოგამოცდილება მან  
შემდგომში საუკეთესოდ გამოიყენა თეატრა-  
ლურ დადგმებში.

\* \* \*

1928 წლის 3 ნოემბერს ქუთაისში გაიხ-  
სნა მეორე სახელმწიფო თეატრი კოტე მარ-  
ჯანიშვილის ხელმძღვანელობით. თეატრის  
დაარსება გამოწვეული იყო საბჭოთა მაყუ-  
რებლის გაზრდილი კულტურული მოთხოვ-

ნებით, ქართული საბჭოთა თეატრის ~~ზრდა~~  
განვითარების ინტენსივობით.

საბჭოთა საქართველოს მეორე მნიშვნელო-  
ვანი ცენტრი, თავისი მრავალწლობითი თეატ-  
რალური ტრადიციებით, საჭიროობდა ფართო  
მასშტაბის მაღალხარისხოვან თეატრს.

კოტე მარჯანიშვილს ხელისუფლებამ მი-  
ანდო თეატრის ორგანიზაცია და ხელმძღვანე-  
ლობა, როგორც უდიდესი გამოცდილების  
ოსტატს ახალ თეატრალურ წამოწყებათა სუ-  
ლის ჩადგმაში.

დასაწყისშივე თეატრში საუკეთესო მსა-  
ხიობთა ძალები შეიკრიბა. თეატრში სამუ-  
შაოდ გადავიდა ნაწილი მსახიობებისა რუს-  
თაველის თეატრიდან. თეატრის დაში ჩაი-  
რიცხნენ: ვ. ანჯაფარიძე, თ. ჭავჭავაძე, ც. წუ-  
წუნავა, ე. დონაური, ი. ზარდალიშვილი,  
ა. იმედაშვილი, უ. ჩხეიძე, შ. ღამბაშიძე,  
ზ. გომელაური, ა. უორუოლიანი, მ. სულთა-  
ნიშვილი და სხვანი. შემდგომ მათ შემატნენ  
ე. ჩერქეზიშვილი, ტ. აბაშიძე, ც. თაყაიშვი-  
ლი. ნ. გოცირიძე, პ. კობახიძე, ვ. გოძიაშვი-  
ლი, ი. გვინჩიძე, ს. ზაქარიაძე, დ. ჩხეიძე,  
ა. კვანტალიანი, შ. გოცირელი და სხვანი.  
თეატრს აგრეთვე შეუკედლა ნიჭიერი ახალ-

გაზრდობა, რომელიც შემდგომ საუკეთესო  
შემოქმედ ძალად იქცა. რეუისორ-დამდგმენ-  
ლებად მოწვეული იყვნენ დ. ანთაძე და გ. სუ-  
ლიაშვილი. მხატვრები — დ. კაკაბაძე, ე. ახვ-  
ლედიანი, თ. აბაკელია და სხვანი.

თეატრი ემსახურებოდა არა მარტო ქუ-  
თაისს, არამედ თავისი წარმოდგენები გადაჰ-  
ქონდა ბათუმშიც.

ჩვეული გატაცებით შეუდგა მარჯანიშვი-  
ლი თეატრის ორგანიზებას და ასევე გაიტა-  
ცა თეატრის მთელი კოლექტივი. პირველ სე-  
ზონში მარჯანიშვილმა განახორციელა 7 დად-  
გმა: „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“, — ე. ტო-  
ლერისა, „წმინდა ქალწული“ ბ. შოუსი,  
„ცხვრის წყარო“ ლოპე დე-ვეგასი, „კაკალ  
გულში“ — შ. დადიანისა, „როგორ“ — კ. კა-  
ლაძისა, „ყვარყვარე თუთაბერი“ — პ. კაკა-  
ბაძისა და „ურიელ აკოსტა“ — კ. გუცკოვისა.

ყველა დადგმას ის უშუალოდ ხელმძღვა-  
ნელობდა, მაგრამ ამასთანავე ერთად, რეუი-  
სორთა კადრების დახელოვნების მიზნით, თა-  
ვისთან ერთად ამჟავებდა თეატრის რეუი-  
სორებს.

ეს პერიოდი კოტე მარჯანიშვილის მოღვა-  
წეობისა ქართულ საბჭოთა თეატრში მეტად

ანტენსიური და მრავალფეროვანი იყო, მნიშვნელოვანი იყო გარკვეული ტენდენციით თანამედროვე საბჭოთა შინაარსის ქართული ორიგინალური რეპერტუარის შექმნისათვის. მარჯანიშვილმა თეატრის ირგვლივ შემოიკრიბა საბჭოთა დრამატურგები, დაამყარა მათთან მუდმივი შემოქმედებითი კავშირი და უკვე პირველ სეზონში მაყურებელს უჩინენა შ. დადიანის, პ. კაკაბაძისა და პ. კალაძის ახალი პიესები.

სეზონი გაიხსნა ე. ტოლერის დრამით „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“. ეს ექსპრესიონისტური ნაწარმოები, დაწერილი 1919 წლის ბავარიის რევოლუციის დამარცხების თემაზე, გამოხატავდა რევოლუციონერის კარლ ტომასის (უ. ჩხეიძე) ტრალედიას. იგი მოსწყდა მუშათა კლასის კოლექტიურ ბრძოლას, წავიდა ინდივიდუალური ტერორის გზით და დაიღუპა. პესიმისტური იერით დაწერილი ნაწარმოები კოტე მარჯანიშვილის ნაცად ხელში ფინალში გადადიოდა მომავალი კლასიური ბრძოლებისა და გამარჯვების ოპტიმიზმში. დატყვევებული მუშების შეძახილი „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“ — მხნეობისა და მომავალი გამარჯვების გრძნობას ჰპტიმიზმში.

რებელში. პიესაში ოსტატურად იყო გამოყენების სებული მარტივი დეკორატიული კონსტუქცია, სინათლე, კინო, რაღიო.

უდიდესი მხატვრული გემოვნებით იყო დადგმული პ. გუცოვის ტრალედია „ურიელ აკოსტა“ (ურიელ — უ. ჩხეიძე, ივლითი — ვ. ანჯაფარიძე, დე-სილვა შ. ლამბაშიძე).

დიდი წარმატება ხვდა წილად პ. კაკაბაძის კომედიას „ყვარყვარე თუთაბერი“ (თუთაბერი — უ. ჩხეიძე), რომელიც მას შემდეგ ურყევად არის დამკვიდრებული ქართული თეატრის რეპერტუარში.

რომანტიული სპექტაკლი იყო შექმნილი პ. კალაძის პიესით „როგორ“, 1905 წლის რევოლუციონური ბრძოლის თემაზე.

თანამედროვე კომედიის შექმნის ცდა იყო შ. დაღიანის „კაკალ გულში“.

სეზონის დამლევს მეორე სახელმწიფო თეატრი გასტროლებზე ჩამოვიდა თბილისში და თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში უჩვენა ყველა თავისი ახალი დადგმები. გასტროლები დიდი წარმატებით დამთავრდა.

1929/30 წლ. სეზონში კოტე ვარჯანიშვილმა მეორე სახელმწიფო თეატრში თავისი

ხელმძღვანელობით განახორციელა 6 ახალი  
დადგმა, რომელთა შორის 4 პიესა ქართველ  
საბჭოთა დრამატურგებს ეკუთვნოდათ. ოთ-  
ხივე პიესა თანამედროვე შინაარსისა იყო,  
სახელდობრ: დ. შენგელაიას „ოეთრები“,  
ქ. კალაძის „ხატიჯე“, ა. ქუთათელის „შუა-  
ლემებ გადაიარა“ და გ. ბუხნიკაშვილის „ერა,  
მაგრამ...“

კოტე მარჯანიშვილი თანამიმდევრად ნერ-  
გავდა რეპერტუარში თანამედროვე საბჭოთა  
შინაარსის პიესებს. ის აცხადებდა: „უნდა შე-  
კმნათ ჩვენი დრამატურგია, უთუოდ შეთა-  
მოვანებული პროლეტარიატის დიქტატურის  
ეპოქასთან“.

1930 წლის გაზაფხულს თეატრი საგასტ-  
როლოდ გაემგზავრა მოსკოვს, ხოლო გზად  
ხარკოვში გამართა წარმოდგენები. რუსთავე-  
ლის თეატრთან ერთად, ეს პარტველი ვასე-  
ლა იყო ქართული თეატრისა რუსეთში და,  
ცხადია, მას უაღრესად დიდი მნიშვნელობა  
ჰქონდა. ხარკოვში თეატრმა მაყურებელს  
უჩვენა 9 სპექტაკლი, რომლებიც უკრაინელ-  
მა მაყურებელმა აღტაცებით მიიღო. მოსკოვ-  
ში ნაჩვენები იყო 16 სპექტაკლი და დიდი  
წარმატება ხვდა წილად თეატრს და მის ხელ-

მძღვანელს კოტე მარჯანიშვილს. მოსკოვის  
თეატრალურმა. საზოგადოებამ თვალნათლივ  
ნახა, თუ რა ნაყოფი მოუტანა ქართულ თეა-  
ტრალურ კულტურას რუსულ სცენაზე გამო-  
ზრდილმა და დახელოვნებულმა ოსტატმა კო-  
ტე მარჯანიშვილმა. ამრიგად თეატრის გასტ-  
როლები გადაიქცა ქართული და რუსული  
თეატრალური კულტურის ურთიერთ კავში-  
რის შესანიშნავ ფაქტორად.

ბრწყინვალე შეფასება მიიღო თეატრმა  
პრესისა და საზოგადოებრიობისაგან. სსრკ  
ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის  
ორგანო, გაზეთი „იზვესტია“ სწერდა თეატ-  
რის გასტროლების შესახებ: „საქართველოს  
მეორე სახელმწიფო თეატრი, მიუხედავად  
მისი ახალგაზრდობისა, უკვე მომწიფებულს  
სრულყოფილ სამხატვრო მოვლენას წარ-  
მოადგენს, რომლის შესახებ შეიძლება მთე-  
ლი ხმით ილაპარაკო. ეს არის თეატრი, სადაც  
ცხოველი შემოქმედებითი აზრი სჩქეფს. მი-  
სი ნამუშევარი საუკეთესო საბუთია იმასა,  
თუ როგორ ვითარდება და იზრდება საბჭო-  
თა კავშირის ხალხთა კულტურა საბჭოთა ნა-  
ციონალურ პოლიტიკის პირობებში“.

საუკეთესო შეფასება მიიღო ~~თეატრმა~~  
მოსკოვის ხელოვნების მეცნიერებათა აკადე-  
მის საზეიმო სხდომაზე, რომელიც ქართუ-  
ლი თეატრის მოსკოვში ჩასვლას მიეძღვნა.

კომუნისტურ აკადემიაში გამართულ დის-  
პუტზე ა. ლუნაჩარსკიმ თავის გამოსვლაში  
დიდად მოიწონა თეატრის მიღწევები და აღ-  
ნიშნა: „კონსტანტინე ალექსანდრეს-ძეს ალ-  
ბად ახსოვს, რომ მას მეტად მეძვირე რეჟი-  
სორს ეძახდნენ, ასე ამბობდნენ: დიახ, ეს დი-  
დი ბრილიანტია, რომელსაც ძვირფასი ჩარჩო  
ესაჭიროება. მე მგონია, რომ ეხლა ამხანაგი  
მარჯანიშვილი ბაჯაღლოს ჩარჩოთი არ არის  
გარემოცული. მის ჩარჩოს მხოლოდ მისივე  
თანამშრომელნი და თანამებრძოლნი შეად-  
გენენ და მიუხედავად ამისა ამ ბრილიანტის  
ელვარება მაინც შესანიშნავია. ფერადთა  
დიადი გაშლილობა, ფორმების კონცენტრა-  
ციასთან ერთად, რომლითაც მარჯანიშვილი  
ყოველთვის გვაკვირვებდა, ქართული სტილი  
და სცენიდან შესანიშნავად აუღერებული  
ქართული ენა, შეთვისდენ უმაღლესი ძალ-  
ლონით. ეს აიხსნება მარჯანიშვილის ნაციო-  
ნალურ მიკუთვნებით: მარჯანიშვილს ხომ  
საკუთარ ენაზე უფრო მეტი მასაზრდოებელი

წვენი უნდა შეესვა, ვიდრე უცხოეთში? გარდა ამისა, მეტად საინტერესოა ის მიმართულება, რომელიც თეატრმა მიიღო. რამდენადაც ჩვენ დაუკვირდით, ეს მიმართულება სამი გზით მიღის. ერთის შერივ თეატრი ქართული დრამატურგიის გზით, ახალი თეატრალური შემოქმედების განვითარებით ქმნის მჭიდრო ნიადაგს ქართული თეატრის შემდეგი გაშლისათვის. ეჭვს გარეშეა, ეს გარემობა თეატრის უმთავრეს მოვალეობას შეადგენს, უკეთუ თეატრს სურს დიდი კულტურული გაფურჩქვნის მონაწილე იყოს, დიალ, სწორედ გაფურჩქვნისა და არა გამოღვიძების, რადგანაც ქართველმა ერმა დიდი ხანია გამოიღვიძა და საქართველოს თავისი უფლებები აქვს საბჭოთა დიდ ოჯახში. მეორეა გამოხმაურება და დადგმა დრამატიული შემოქმედების თანამედროვე მძაფრნაწარმოებთა, რომელნიც ჩვენ უკვე გვაქვს. და მე დარწმუნებული ვარ, რომ უკრაინაში, ბელორუსიაში, აზერბაიჯანში და სხვა რესპუბლიკებში რომ უკვე იყოს შექმნილი შესამჩნევი თეატრალური ნაწარმოებნი, ყოველივე, რაც ორიგინალური და შესანიშნავია, ისე აღიბეჭდებოდა ქართულ თეატრში,

როგორც სარკეში. და ბოლოს მესამე გენი—  
განსაკუთრებით „ურიელ აკოსტაში“ მოცე-  
მული — არის ცდა კლასიკოსების ახალ ჰე-  
გზე აუღერებისა. ზოგჯერ კლასიკოსთა ნაწარ-  
მოების სახეები ამბოხ და მძაფრ ეპოქას გა-  
ძოსახავენ და ის აქ არის საჭირო გამოსახვა  
ისეთი ახალი სახეების, რომელნიც თანა-  
დროულობასთან მონათენავე და გასაგებ  
ენით აღაპარავდებიან. ესეც, რასაკვირველია,  
დიადი ამოცანა, ამოცანა ისეთი, რომელიც  
შევრჩერ წამოიჭრება ჩვენს წინაშე და რო-  
მელსაც საქართველოს ახალგაზრდა თეატრი  
ბრწყინვალედ სწყვეტს“.

გასტროლებიდან დაბრუნების შემდეგ მე-  
ორე სახელმწიფო თეატრი ხელმძღვანელი  
ორგანიზაციების გადაწყვეტილებით თბილის-  
ში იქნა გადმოყვანილი და სამუშაოდ მიეცა  
სპეციალურად შექეთებული და გაფართოე-  
ბული ყოფილი სახალხო სახლის შენობა.

კოტე მარჯანიშვილმა ჩვეული ენერგიით და  
პოხდომებით განაგრძო მუშაობა თეატრში.  
შავე დროს ის მიიწვიეს მოსკოვში ყოფ-  
კორშის თეატრში იბსენის დრამის „მშენებე-  
ლი სოლნესის“ დასადგმელად, რომელიც  
თეატრშა უჩვენა 1931 წელს.

სამი სათეატრო სეზონის განმავლობაში  
(1930/31 წლ., 1931/32 წლ., 1932/33 წლ.)  
კოტე მარჯანიშვილმა განახორციელა 8 დად-  
გმა, მათ შორის ერთი — „მზის დაბნელება“  
ზ. ანტონოვისა — თავისივე ძველი დადგმის  
განახლება იყო.

კოტე მარჯანიშვილი განაგრძობდა თანამე-  
დროვე საბჭოთა შინაარსის პიესების ფარ-  
თოდ დანერგვას თეატრში. მან ამ ხანს დადგა  
„ფოლადის პოემა“ ნ. პოგოდინისა, „მოხუ-  
ცი ენტუზიასტი“ ა. იაშვილისა, „სახლი  
მტკვრის პირას“ კ. კალაძისა და „შიში“  
ა. აფინოგენოვისა.

მარჯანიშვილის უკანასკნელი დადგმა მეო-  
რე სახელმწიფო თეატრში და საერთოდ ქარ-  
თულ სცენაზე იყო „ოტელო“ უ. შექსპირისა  
(ოტელო — შ. ღამბაშიძე, იაგო — უ. ჩხეიძე).

1931 წლის 2 დეკემბერს თბილისში დიდი  
ზეიმით იქნა გადახდილი კოტე მარჯანიშვი-  
ლის 40 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილე  
და საქართველოს სსრ ცენტრალური აღმას-  
რულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დად-  
გენილებით მას მიენიჭა რესპუბლიკის სა-  
ხალხო არტისტის სახელწოდება.

კოტე მარჯანიშვილს უკვე ხშირად ეპატი-  
უებოდნენ მოსკოვში არა მარტო მისი ძეგლი  
მოღვაწეობის გახსენებით, არამედ დიდი მიღ-  
წევების გამო ქართულ საბჭოთა თეატრში.  
1933 წელს მან მიიღო მოსკოვის მცირე  
თეატრში დასადგმელად შილერის „დონ კარ-  
ლოსი“ და მოსკოვის ოპერეტის თეატრში —  
შტრაუსის ოპერეტა „ლამურა“.

მოსკოვის სამხატვრო თეატრი აპირობდა  
განეახლებინა მისი დადგმა „ცხოვრების  
გრძელებში“.

მაგრამ მარჯანიშვილს აღარ დასცალდა ამ  
დასახული გეგმების განხორციელება. დადგ-  
მების მზადების დროს მოსკოვში 1933 წლის  
17 აპრილს, დიღის 6 საათზე იგი უეცრივ  
გარდაიცვალა სისხლის ჩაქცევით.

მოსკოვის თეატრალურმა საზოგადოე-  
ბრიობამ დიდი პატივი სცა კოტე მარჯანი-  
შვილის ხსოვნას.

მოსკოვის პრესამ ვრცელ წერილებში აღ-  
ნიშნა კოტე მარჯანიშვილის დიდი დამსახუ-  
რება თეატრალური კულტურის განვითარე-  
ბის საქმეში. მისი მოწაფე, მოსკოვის კამე-  
რული თეატრის ხელმძღვანელი ა. თაიროვი

სწერდა: „დევ, მარჯანიშვილის ცხოვრების  
გზა მაგალითი იყოს ჩვენი ქვეყნის მხატვარ-  
თა ახალი თაობებისათვის, როგორც გზა ფო-  
დი რეუისორისა, რომელსაც არ სჩვევოდა  
ჰქუამოკლე თვითკმაყოფილება, რომელიც  
ყოველთვის წინ მიისწრაფვოდა, იყო ნამდვი-  
ლი მხატვარი რევოლუციონერი, საბჭოთა  
თეატრის ნამდვილი ოსტატი“.

23 აპრილს მოხდა ცხედარის კრემაცია.  
კოტე მარჯანიშვილის ფერფლი მშობელ ქვე-  
ყანაში ჩამოიტანეს რსფსრ განათლების სა-  
ხალხო კომისარიატის, მოსკოვის სამხატვრო  
თეატრის, მცირე თეატრის, ოპერეტის თეატ-  
რისა და ხელოვნების მუშაქთა კავშირის  
წარმომადგენლებმა.

მეორე სახელმწიფო თეატრში შემდგარი  
სამოქალაქო პანაშვიდის შემდეგ ფერფლი  
29 აპრილს დაკრძალული იქნა. თბილისის  
ოპერისა და ბალეტის თეატრის ბალში.

მთავრობის დადგენილებით მეორე სახელ-  
მწიფო თეატრს ეწოდა კოტე მარჯანიშვილის  
სახელი. ეს თეატრი მისდევს კოტე მარჯანი-  
შვილის მხატვრულ ოსტატობის ტრადი-

ციებს და ჩვენი თაობა მისი მრავალი მხატ-  
ვრული გამარჯვების მოწმეა.

\* \* \*

მთავარი, რაც კოტე მარჯანიშვილის მოღ-  
ვაწეობას ახასიათებდა ათეული წლების მან-  
ძილზე, იყო გაბედული ეჭსპერიმენტატორო-  
ბა შემოქმედებაში და გამახვილებული პო-  
ლიტიკური ალლოს უნარი იმ პერიოდში, რო-  
დესაც მეოცე საუკუნის სოციალური ურთი-  
ერთობის სწრაფ ცვალებადობაში და გამწვა-  
ვებაში საჭირო იყო ხელოვანს გარკვეული  
გზა გამოენახა თავისი. შემოქმედების საზო-  
გადოებრივ ცხოვრებასთან დასაკავშირებ-  
ლად.

აქედან გამომდინარე: რევოლუციამდე —  
მარჯანიშვილის შეურიგებლობა ყოველგვარ  
რუტინისა და შაბლონისადმი, როგორც თვი-  
თონ კოტე მარჯანიშვილი ამბობდა, სცენის  
ჩინოვნიკობასთან, ყოველგვარი მზამზარეუ-  
ლი რეცეპტების გვერდის აქცევა მხატვრულ  
შემოქმედებაში, მუდამ რადიკალურად მე-  
გარცხენე პოზიციებზე დგომა, მუდშივი ცდა  
თავისი შემოქმედების დაკავშირებისა მასებ-

თან, თეატრის გავება, როგორც მასიური ხელოვნებისა.

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის შემდეგ კოტე მარჯანიშვილი უყოყმანოდ და გულწრფელად ემსახურება მუშათა კლასის საბრძოლო ინტერესებს და ჩვენს წინ ისახება, როგორც სამაგალითო წარმომადგენელი ძველი მხატვრული ინტელიგენციიდან საბჭოთა ხელისუფლებასთან გულწრფელად მოსული მოღვაწისა.

მთელი თავისი შემოქმედებითი უნარი მან, ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის დღეებში გულუხვად მისცა მებრძოლ ხალხს და გადამწყვეტად გამოემიჭნა ინტელიგენციაში შერჩენილ რეაქციულ ელემენტებს. მარჯანიშვილს ეს ნაბიჯი დეკლარაციებით არ განუსაზღვრავს, არამედ ის პრაქტიკულად შეუდგა ახალი ეპოქის შესატყვის თეატრის შენებას და პირველ ხანებშივე სახელი გაითქვა თავისი რევოლუციური სპექტაკლებით.

თანამედროვე საბჭოთა შინაარსის რეპერტუარის სისუსტის პერიოდში, კლასიკური მემკვიდრეობის კრიტიკულად დაძლევით, მან პირველად სცადა გამოეყენებინა ეს მემკვიდრეობა მშრომელთა მისწრაფებების გა-

პოსახატავად. კიევის „ცხვრის წყარო“ ამის  
უტყუარი და ბრწყინვალე საბუთი იყო.

როგორც ქართული საბჭოთა თეატრის უც-  
ფორმატორმა, მან, ჩვენი პარტიისა და ხელი-  
სუფლების დახმარებით და ხელისშეწყობით  
თეატრი გამოიყვანა ეტნოგრაფიული განსაზ-  
ღვრულობის რეალიდან და განყენებისაგან  
და განვითარების ფართო გზა გაუშალა მას.

და არა მარტო დრამატიული თეატრი...  
საბჭოთა საქართველოში მთელი რიგი ოპე-  
რების დადგმით, განსაკუთრებულად ქართუ-  
ლი ოპერების, მან სიახლე შეიტანა ამ როგო-  
რების გადასაცემაშიც. მან დადგა თბილისის ოპერი-  
სა და ბალეტის თეატრში ქართული ოპერე-  
ბი: „დაისი“ და „აბესალომ და ეთერი“ —  
ზ. ფალიაშვილისა, „ოქმულება შოთა რუს-  
თაველზე“ — დ. არაყიშვილისა.

კოტე მარჯანიშვილი წარმატებით აწარ-  
მოებდა ქართული თეატრის ნაციონალური  
ფორმის ძიებას და შეფარდებას სოციალის-  
ტურ შინაარსთან.

კოტე მარჯანიშვილის ყველა დადგმას,  
რომელთა რიცხვი დაახლოვებით სამასამდე  
აღწევდა (აქედან 36 ახალი დადგმა ქართულ  
დრამატიულ თეატრში) განსაცვიფრებელი

სხვადასხვაობა და უსაზღვრო რეჟისორული  
გამომგონებლობა ახასიათებდა. ყოველი  
ცალკეული დრამატიული ნაწარმოებისათვე  
ის პოულობდა მისთვის შესაფერ განსტკავე-  
ბულ სცენიურ საშუალებებს. მთავარი, რაც  
ყველა მის დადგმას აერთიანებდა — ეს იყო  
ძირითადში რეალისტური ხაზის დაცვა და  
სპექტაკლის გაგება როგორც ჯანსაღი, ოპტი-  
მისტური, საზეიმო, სიცოცხლით სავსე სანა-  
ხაობისა. მისი დადგმები ხასიათდებოდა დი-  
დი ტემპერამენტიულობით, ნამდვილი თეატ-  
რალობით, თეატრალურ პათოსით.

სამართლიანი იყო ა. ლუნაჩარსკის სიტ-  
ყვები წერილში კ. მარჯანიშვილის გარდაცვა-  
ლების გამო: „ჩვენ არ ვიცით სხვა სახელი,  
რომელსაც მხატვრულად, კაშკაშად შესძლე-  
ბოდა აესახა თავის შემოქმედებაში ადამიანის  
ზეიმი... მარჯანიშვილის მთელს მუშაობაში  
აშკარავდებოდა მისი ტემპერამენტი, მისი სი-  
ყვარული ყოველივე იმისა, რაც სიცოცხლით  
იყო მოსილი, მისი უნარი ჩვენებისა, თუ რა  
კარგია სიცოცხლე, შემოქმედება, მისი უნარი  
ცხოვრების მზიური მხარეებისა და სილამა-  
ზის ჩვენებისა“.

კოტე მარჯანიშვილი თავის სარეკოლო  
შოღვაწეობაში სინთეტიკურ თეატრს ჰქონი-  
და. ეს იყო მხატვრული ხაზი სანახაობითი ზე-  
ლოვნების ძირითადი ფორმების ჰარმონიუ-  
ლად გამოყენებისა, რეალისტური სტილის  
საფუძვლებზე. მარჯანიშვილი თავისი მრა-  
ვალწლობითი რეჟისორული მუშაობის დროს  
მუდამ ეძებდა ამ გარმონიულობის ფორმებს,  
რისთვისაც საკუთარი თეატრიც კი შექმნა  
მოსკოვში.

მარჯანიშვილმა დიდ სიმაღლეზე აიყვანა  
რეჟისორის, როგორც სპექტაკლის მხატვრუ-  
ლი ორგანიზატორის როლი თეატრში და გა-  
ნავითარა ეს შემოქმედება. მაგრამ ამასთანა-  
ვე მას არ სწამდა რეჟისორის დიქტატურა  
და რეჟისორის პრიმატი სპექტაკლის შექმ-  
ნაში.

მარჯანიშვილის თეატრი პირველად ცოვ-  
ლისა მსახიობის შემოქმედების თეატრი იყო.  
თავის ერთ შოხსენებაში, რომელიც 1929  
წელს თბილისის ხელოვნების მუშაკთა აქტი-  
ვის, კრებაზე გააკეთა, მან შემდეგი სთქვა რე-  
ჟისორის ადგილის შესახებ თეატრში: „თეა-  
ტრი შესდგება შემოქმედების სამი უშუალო  
მონაწილეთაგან. ესენი არიან ავტორი, აქ-

ტიორი და მაყურებელი. ერთ-ერთი ამ ელე-  
მენტთაგანი თუ არ არის, თეატრი ვერ იარ-  
სებებს... რეჟისორი თეატრში სრულიადაც არ  
არის შემოქმედების მთავარი ელემენტი.  
ურეჟისოროდ თეატრი არ მოკვდება, თუმცა  
უამისოდ ამჟამად თეატრის მუშაობა არ ვარ-  
გა“. თავის რეჟისორულ მუშაობაზე კი შემ-  
დეგი სთქვა: „ჩემი მიზანი ერთია. რაც შეიძ-  
ლება ნათლად გავიგო, რა სურს აქტიორს,  
შემდეგ კი ყოველნაირად დავეხმარო მას,  
სწორად გადმოსცეს ეს. ამ დახმარებისას, რა-  
თქმა უნდა, საჭიროა დიდი მუშაობა“.

კოტე მარჯანიშვილი, სთვლიდა რა მა-  
ნიობს სასცენო შემოქმედების მთავარ ელე-  
მენტად, დიდ მოთხოვნილებას უყენებდა მას.  
მსახიობისაგან ის მოითხოვდა მაყურებელზე  
ზემოქმედების ყველა საშუალებათა შეთვისე-  
ბას და უაღრესად განვითარებას. პირველ  
რიგში მნიშვნელობას აძლევდა სცენიური სა-  
ხის შინაგანი ფსიქოლოგიური განცდის გაღ-  
მოცემას და სცენაზე ყველაფერს უმორჩი-  
ლებდა მსახიობის მიერ ამ განცდის მკაფიოდ  
და დამაჯერებლად გახსნას და ხაზგასმას. კო-  
ტე მარჯანიშვილის სპექტაკლში ყოველ მსა-  
ხიობს უნდა გამოევლინა თავისი აქტიორუ-

ლი იხდივიდუალობა, მაგრამ ამასთანავე ერთად უნდა შეექმნა სპექტაკლის ჰარმონიული თანხმოვნება და კოლექტიურობა. კოტე მარჯანიშვილი სცენაზე ამკვიდრებდა მტკიცე კოლექტიურ შემოქმედებით დისციპლინას, როგორც მხატვრული გამარჯვების მთავარ პრობას.

ამ წესით აღზარდა მარჯანიშვილმა და ფარ-  
თო სამოღვაწეო გზა გაუკაფა საქართველოს  
საბჭოთა თეატრის მსახიობთა და რეჟისორ-  
თა მთელ თაობას, რომლის დიდი ნაწილი ამ-  
ჟამად ამშვენებს ჩვენს სცენას და სახელი  
აქვს მოხვეჭილი თავისი ნიჭიერებით და  
მხატვრული უნარიანობით.

ბევრს ჩვენგანს უნახავს და განუცდია კო-  
ტე მარჯანიშვილის ბრწყინვალე ოსტატობა  
ქართულ საბჭოთა სცენაზე. დიდად ღასაძა-  
ნია, რომ მომავალ თაობებს მისი შემოქმედე-  
ბის მხოლოდ მშრალი აღწერები დარჩება. რა  
ვაეწყობა, ასეთია, სცენის ოსტატის ხვედ-  
რი... და რაც უფრო სრული და ზუსტი იქნე-  
ბა კოტე მარჯანიშვილის ცხოვრება-შე-  
შოქმედების შესწავლა, მით უფრო მეტ პა-  
ტივს დასდებს ჩვენი თაობა მის დიდ ღვაწლს  
ქართული საბჭოთა თეატრის შექმნაში, დია-  
დი სტალინური ეპოქის მხატვრული კულ-  
ტურის ზრდა-განვითარებაში.



# კოტე გარჯანიშვილის დადგმები საბჭოთა შართულ დრამატიულ თეატრი

რუსთაველის თეატრი

1922-23 წ.

1. „ცხერის წყარო“, დრ. 3 მოქ. ლოპე და-ვეგა-სი, მხატვარი ვ. სიღამონ-ერისთავი, მუსიკა თ. ვახ-ვახიშვილისა.
2. „მზის დაპნელება საქართველოში“, კომ. 3 მოქ. ანტონოვისა, მხატვარი ვ. სიღამონ-ერისთავი.
3. „ცისფერი ობობა“, ტრალ. 2 მოქ. ლემონიესა, მხატვარი ვ. სიღამონ-ერისთავი.
4. „მასკოტ“, ოპერეტა 3 მოქ. ოდრანისა, მხატ-ვარი ვ. სიღამონ-ერისთავი.
5. „რომანი“, პიესა 3 მოქ. შელდონისა.

1923-24 წ.

6. „გაყრა“, კომ. 3 მოქ. გ. ერისთავისა, მხატვა-რი ვ. სიღამონ-ერისთავი.
7. „ინტერესთა თამაში“, კომ. 3 მოქ. ხ. ბენავან-ტესი, მხატვარი უშინი.
8. „კაცი მასა“, დრ. 7 სურ. ე. ტოლერისა, რე-ჟისორი გ. ქორელი, მხატვარი კ. ზდანევიჩი.
9. „გამზნაურებული მდაბით“, კომ. 3 მოქ. მოლი-ერისა, რეჟისორი გ. ქორელი, მხატვარი უშინი.

10. „გმირი“, პიესა 4 მოქ. ჭ. სიგნისა, ~~მხატვარი~~  
ვ. სიღამონ-ერისთავი.

### 1924-25 წ.

11. „ერეთის გმირები“, პიესა 4 მოქ. ს. შანშია-  
შვილისა, მხატვარი დ. ნაღებაშვილი.

12. „ვინძორის ცელქი ქალები“, კომ. 4 მოქ. უ.  
შექსპირისა, მხატვარი უშინი.

13. „სინათლე“, ზღაპ. — ფერია 9 სურათად ი-  
გედევანიშვილისა, მხატვარი ი. გამრეკელი.

14. „შპიგელმენშ“, ღრ. 5 მოქ. ფ. ვერუელისა,  
მხატვარი ი. გამრეკელი.

### 1925-26 წ.

15. „ჰამლეტი“, ღრ. 5 მოქ. უ. შექსპირისა, მხა-  
ტვარი ი. გამრეკელი.

16. „დეზერტირება“, კომ. 3. მოქ. ნ. აზიანისა, მხა-  
ტვარი მ. შავიშვილი.

17. „მზეთა მზე“, პანტომიმა 3 მოქ. ო. ვახვახი-  
შვილისა, მხატვარი ლ. გუდიაშვილი.

### მეორე სახელმწიფო ოეატრი

### 1928-29 წ.

18. „ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ“, ღრ. 4 მოქ. ი-  
ტოლერისა, რეჟისორი დ. ანთაძე, მხატვარი დ. კუ-  
კაბაძე, მუსიკა თ. ვახვახიშვილისა.

19. „წმინდა ქალწული“, კომ. 4. მოქ. ბ. შოუსი,  
მხატვარი ი. შარლემანი, მუსიკა თ. ვახვახიშვილისა.

20. „კაქალ გულში“, კომ. 3 მოქ. შალ. დაზიანისა, მუსიკა თ. ვახვახიშვილისა.
21. „ყვარეყვარე თუთაბერი“, პიესა 4 მოქ. პ. კაბაძისა, რეჟისორი გ. სულაშვილი, მხატვარი დ. კაკაბაძე, მუსიკა თ. ვახვახიშვილისა.
22. „ურიელ აკოსტა“, ტრ. 4 მოქ. პ. გუცკოვისა, რეჟისორი გ. სულაშვილი. მუსიკა თ. ვახვახიშვილისა
23. „როგორ“, ღრ. 4 მოქ. პ. კალაძისა, რეჟისორი დ. ანთაძე, მხატვარი ე. ახვლედიანი, მუსიკა თ. ვახვახიშვილისა.
24. „ცხვრის წყარო“, ღრ. 3 მოქ. ლოპე დე-ვეგა-სი, რეჟისორი დ. ანთაძე, მხატვარი ვ. სიდამონ-ერის-თავი. (განახლება)

### 1929-30 წ.

25. „თეთრები“, ღრ. 4 მოქ. დ. შენგელაიასი, რეჟისორი გ. სულიაშვილი, მხატვარი ე. ახვლედიანი, მუსიკა თ. ვახვახიშვილისა.
26. „შუალამებ გადიარა“, კომ. 4 მოქ. ი. ქუთათელისა, მხატვარი დ. კაკაბაძე.
27. „კი, მაგრამ“, კომ. 3 მოქ. გ. ბუხჩიკაშვილისა, რეჟისორი გ. სულიაშვილი.
28. „ბეატრიჩე ჩენჩი“, ტრ. 4 მოქ. პერსი ბიში შელისა, მუსიკა თ. ვახვახიშვილისა.
29. „ხატიჭე“, ღრ. 4 მოქ. პ. კალაძისა, მუსიკა თ. ვახვახიშვილისა.
30. „ხანძარი“, პანტომიმა 3 მოქ. თ. ვახვახიშვილისა.

### 1930-31 წ.

31. „არსენას ლექსი“, ხალხური ლექსის გასცენიურება კ. მარჯანიშვილისა, რეჟისორი გ. სულიაშვილი, მხატვარი ლ. გუდიაშვილი, მუსიკა ა. ბალანჩივაძისა.

32. „სამი ბლენძი“, კომ. 3 მოქ. ი. ოლეშასი, მხატვარი ე. ახვლედიანი, მუსიკა ა. ბალანჩივაძისა.

33. „ფოლადის პოემა“, პიესა 3 მოქ. ნ. პოვოდინისა, რეჟისორი გ. სულიაშვილი, მუსიკა თ. ვახვახიშვილისა.

34. „მზის დაბნელება საქართველოში“, კომ. 3 მოქ. ზ. ანტონოვისა, რეჟისორი დ. ანთაძე, მხატვარი ე. ახვლედიანი (განახლება).

### 1931-32 წ.

35. „მოხუცი ენტუზიასტი“, პიესა 3 მოქ. ა. იაშვილისა, რეჟისორი ს. ჭელიძე, მხატვარი ე. ახვლედიანი.

36. „სახლი მტკვრის პირას“, კომ. 3 მოქ. კ. ჭალაძისა, რეჟისორი დ. ანთაძე, მხატვარი ე. ახვლედიანი.

37. „შიში“, დრ. 3 მოქ. ა. აფინოგენოვისა, რეჟისორი ს. ჭელიძე, მხატვარი ე. ახვლედიანი, მუსიკა თ. ვახვახიშვილისა.

### 1932-33 წ.

38. „ოტელო“, ტრ. 5 მოქ. უ. შექსპირისა, რეჟისორი ნ. გოძიაშვილი, მხატვარი ე. ახვლედიანი, მუსიკა თ. ვახვახიშვილისა.

ბიოგრაფია დაწერილია შემდეგი წყაროების  
ხედვით:

1. კოტე მარჯანიშვილის მემუარები (სახელმწიფო სათეატრო მუზეუმი).
2. კოტე მარჯანიშვილის პირადი დოკუმენტები და ჩანაწერები (სახელმწიფო სათეატრო მუზეუმი).
3. სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის საარქივო მასალები.
4. „მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის საიუბილეო კრებული“, შედგენილი დ. ჭანელიძის მიერ, თეატრის გამოცემა, თბილისი, 1939 წ.
5. „სახელმწიფო ქართული დრამა კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით. გასტროლები საბჭოთა კავშირში“, თბილისი, სახელგამი, 1930 წ.
6. გ. კრიუიცე, „კ. მარჯანიშვილი“, მოსკოვი, 1928 წ.
7. გ. კრიუიცე, კ. ა. მარჯანიშვილი, მოსკოვი, 1946 წ.

\* \* \*



3/மგ. රුදාස්ථූරි—ස. තිතුවානි

කොට්ඨාස. № 674

ඡ්‍ය 02370

ඡිල. 4000

සාය්. සෙර මිනිස්ත්‍රිතා සාධ්‍යෝසාන අර්ථයුලි ජෞලිගරා-  
ණිකිසා දා ගාම්ප්‍රේම්ලැංඩීස සායුමීතා සාම්බාන්තයෙළම්  
1-ලි ස්තාම්බා, තධිලිසි, තුරුණුනියිසිස ජ. 50



23

Г. БУХНИКАШВИЛИ

**КОТЭ МАРДЖАНИШВИЛИ**  
**(биография)**

(На грузинском языке)

Гос. театральный музей Грузинской ССР

Тбилиси. 1947 г.

ବ୍ୟାପକ ୧-୦୦୮

୧୯୨୦୦୯.

୧୦୩